პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, მეერთდით!

კომუნისტი

№ 215 (13031)
კვირა,
13
სექტემბერი,
1964 წ.

ფასი 2 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

კომუნიზმის ჩირაღდნები.

მოქანდაკეების ე. ბელოსტოცკისა და ი. ფრიდმანის ნამუშევარი.

დიადი დროშით

ჩვენი ცხოვრების ყოველი დღე, რომელიც გასხივოსნებულია საბჭოთა ადამიანების დიდი შემოქმედებითი აზრით, აღავსებს შესანიშნავი შრომითი საქმიანობით. სამი წლის წინათ მოსკოვში, ყრილობათა სახახლის დიდებული დარბაზიდან მსოფლიოში გაისმა შესანიშნავი სიტყვები: პარტია საზეიმოდ აცხადებს: საბჭოთა ადამიანების ახლანდელი თაობა იცხოვრებს კომუნიზმში!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა ჩვენს ქვეყანას კომუნიზმისაკენ განვითარების ახალი ეტაპი გაუხსნა. კომუნისტური საზოგადოების შექმნა საბჭოთა ხალხს უშუალო პრაქტიკული ამოცანა გახდა.

პარტიის მიერ დასახული კომუნისტური მშენებლობის გეგმების წარმატებით განხორციელება გადაჭრით არის დაკავშირებული თვითეული საწარმოს ხარისხიან მუშაობასთან. რამდენადაც კარგად მუშაობს თვითეული საწარმოს კოლექტივი, რამდენადაც წარჩინებით შრომობენ მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები, ეკონომისტები და მრეწველობის სხვა მუშაკები, მით უფრო მალე და ხარისხიანად შეეძლებთ ამ ამოცანათა შესრულებას.

რესპუბლიკის ყოველ ქარხანასა თუ ფაბრიკაში, ყოველ მაღაროსა თუ შახტში, კოლმეურნეობასა თუ საბჭოთა მეურნეობაში შეიძლება ვნახოთ უდიდესი გარდაქმნები, რომლებიც განხორციელდა ჩვენს ქვეყანაში პარტიის XXII ყრილობის შემდეგ და აი ახლა, როდესაც სექტემბრის კალენდარს ჯერ კიდევ 13 ფურცელიც კი არ მოხვევია, როდესაც საბჭოთა მზიური საქართველოს ინდუსტრიის სახელოვანი არმიის წარმომადგენლები ხალისით ებმებიან აღორძინებული შრომის ფერხულში. რომ ღირსეული საჩუქრებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის 47-ე წლისთავს, ჩვენ გოლებით თვალს ვავლებთ ყველა ნამოღვაწარს, რაც გმირული შრომით განხორციელეს რესპუბლიკის მშრომელებმა კომუნიზმის მშენებლობის პროგრამის მიღების შემდეგ.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა განვლილ სამ წელიწადში კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა. საგრძნობლად გაიზარდა მრეწველობის ყველა მნიშვნელოვანი დარგის პროდუქციის გამოშვება. ამოქმედდა ქიმიის, მეტალურგიისა და მანქანათმშენებლობის ახალი სიმძლავრენი. მიმდინარე წლის მარტო რვა თვეში რესპუბლიკის დედაქალაქის საწარმოებმა საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 102.4 პროცენტით შეასრულეს. გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია 12 მილიონ 356 ათასი მანეთის პროდუქცია. სასიხარულო და საამაყოა ის ფაქტი, რომ წელს. გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით თგილისის საწარმოებმა სახელმწიფოს მისცეს 17 მილიონ 801 ათასი მანეთის მეტი საქონელი.

ყოველივე ამაში გარკვეული წვლილი შეიტანა მშრომელი მასების ინიციატივამ, მათმა თაოსნობამ. მოსკოვის 15 საწარმოსა და რუსთავის მეტალურგთა ინიციატივას — გახადონ ყოველი საწარმო რენტაბელური და გამოუშვან მხოლოდ უზარალო პროდუქცია — მხურვალედ დაუჭირა მხარი ჩვენი რესპუბლიკის ყველა საწარმომ. ბევრგან უკვე გადადგმულია პრაქტიკული ნაბიჯები. ბრიგადები, საამქროები თუ საწარმოები ერთმანეთს ეჯიბრებიან, რათა ერთი წლით ადრე შეასრულონ სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმა, მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის ფართოდ დანერგვით მიაღწიონ შრომის ნაყოფიერების საგრძნობ ზრდას და პროდუქციის თვითღირებულების მნიშვნელოვან შემცირებას.

„სოციალიზმი, — გვასწავლის დიდი ლენინი, — არათუ არ აკრძალავს შეჯიბრებას, არამედ, პირიქით, პირველად ქმნის მისი გამოცდილების შესაძლებლობას ნამდვილად ფართოდ, ნამდვილად მასობრივად, შესაძლებლობას ნამდვილად გამოცდილ იქნას მშრომელთა უმრავლესობა ისეთი მუშაობის ასპარეზზე, სადაც მათ შეუძლიათ გაიგიჟინონ თავი, გაშალონ თავიანთი უნარი, გამოაჩაროონ ნიჭი, რომელიც ხალხში ულეველია და რომელსაც კაპიტალიზმი ათასობით და მილიონობით თელავდა, ჭყლეტდა და ახოვდა“.

ლენინის ეს სიტყვები ჩვენი ცხოვრების ყოველი დღით მტკიცდება. თაოსნობის, შეჯიბრების, გამდიდული წამოწყების უნარის გამოჩენა ფართოდ. ეშმარიტად მასობრივად მხოლოდ ჩვენს დროში გახდა შესაძლებელი...

მოსკოველთა და რუსთაველთა თაოსნობის გამოქვეყნების შემდეგ ჯერ თითქოს კარგად არც კი გამშრალა გაზეთის ფურცლები, რომ წინასოციტომბრო ზეიმის მზადების დღეებში პატრიოტული თაოსნობით მამართეს რესპუბლიკის ყველა კოლეგას ქუთაისელმა მშენებლებმა. სხვა ვალდებულებათან ერთად მათ აკისრეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახვედრად, რომელიც განიხილავს კაპიტალური მშენებლობის მიმდინარეობის საკითხებს, 1964 წლის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით შეასრულონ 15 ოქტომბრისათვის და წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით უზრუნველყონ 500 ათასი მანეთის სამუშაოთა შესრულება.

დღითიდღე ფართოდ ჩაღდება წინასოციტომბრო სოციალისტური შეჯიბრება. იშრომო დამკვრელურად, იშრომო დღეს უკეთ, ვიდრე გუშინ, ხოლო ხვალ უკეთ, ვიდრე ეს — აი საქართველოს მრეწველობის მუშაკთა დევიზი. მასში აღბეჭდილია ჩვენი მშრომელების შეუნელებელი მისწრაფება პირნათლად შეასრულონ კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამა, ასახულია ის, რომ საბჭოთა ხალხების ახლანდელი თაობა იცხოვრებს იმ ეპოქაში, რომლის შექმნაზეც ოცნებობდნენ კაცობრიობის ყველაზე ნათელი გონების ადამიანები.

ერთობა პროლეტარიატის ძალაა

პირველი ინტერნაციონალის მასალები

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის მიერ მომზადებული პირველი ინტერნაციონალის გენერალური საბჭოს ოქმების მესამე ტომი. ეს ტომი უშუალო გაგრძელებაა 1961 და 1963 წლებში გამოცემული გენერალური საბჭოს ოქმების პირველი ორი წიგნისა — მუშათა საერთაშორისო ამხანაგობის ისტორიის უმნიშვნელოვანესი წყაროსი, რაც ხუთ წიგნად გამოდის პირველი ინტერნაციონალია იუბილეასთან დაკავშირებით. მესამე ტომის მასალები მოიცავენ პერიოდს 1868 წლის 22 სექტემბრიდან (ბრიუსელის კონგრესის შემდეგ) 1870 წლის 12 ივლისამდე (საფრანგეთ პრუსიის ომის დაწყებამდე). მასალები ასახავენ გენერალური საბჭოს ბრძოლას საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში სოციალისტური პროგრამის, მარქსიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების დამკვიდრებისათვის.

გენერალური საბჭოს ოქმების მასალები გვიჩვენებენ, რომ მუშათა მოძრაობაში წარმოშობილ სადავო საკითხების გადაჭრისას მარქსი გვასწავლიდა: არ გავაზვიადოთ ხელოვნურად უთანხმოება მუშათა კლასის რიგებში, არამედ ყოველთვის ვეძიოთ პრინციპულ საფუძველზე აზრისა და მოქმედების ერთობის გზები. მარქსი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ყოველგვარი უპრინციპო დისკუსია, მოგონილი წინააღმდეგობა და აზრთა სხვადასხვაობა მხოლოდ ხელს უწყობს პროლეტარიატის კლასობრივ მტრებს.

გენერალური საბჭოს ოქმების მესამე ტომში მოთავსებული მასალები წარმოდგენას გვაძლევენ პირველი ინტერნაციონალის, როგორც ხალხთა ზორის მშვიდობისათვის მებრძოლის საქმიანობაზე. (საკდესი).

გულითადი მისალმება

განიარაღებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხებისადმი მიძღვნილ მეცნიერთა მე-13 საერთაშორისო პაგუოშის კონფერენციის მონაწილეებს

ქარლოვი ვარი, ჩეხოსლოვაკია.

ნება მიბოძეთ საბჭოთა მთავრობისა და პირადად ჩემი სახელით მივესალმო განიარაღებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხებისადმი მიძღვნილ მეცნიერთა მე-13 საერთაშორისო პაგუოშის კონფერენციის მონაწილეებს და ვუსურვო წარმატება კონფერენციის მუშაობაში.

მეცნიერთა პაგუოშის მოძრაობის დიდი დამსახურება ის არის, რომ თავისი საქმიანობით ხელს უწყობს ნდობის განმტკიცებას სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის ქვეყნებს ორის. ასეთი ნდობის განმტკიცებას კი დიდი მნიშვნელობა აქვს პროგრესის მიღწევისათვის განიარაღებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში.

უნდა მივესალმოთ იმას, რომ თქვენი კონფერენცია ჯეროვან ყურადღებას უთმობს ღონისძიებებს, რომლებიც გზას უკაფავენ საყოველთაო და სრული განიარაღების ამოცანის გადაწყვეტას. ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანმა დაუჭირა მხარი და ღირსეულად დაიფასა მოსკოვის ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის ნაწილობრივი აკრძალვის შესახებ და შემდგომი ღონისძიებანი გამალებული შეიარაღების შეზღუდვისათვის სწორედ იმიტომ, რომ ასეთი ღონისძიებანი აახლოებენ მტკიცე საყოველთაო მშვიდობას. სასიხარულოა, რომ მსოფლიოს თვალსაჩინო მეცნიერებს, რომლებიც პაგუოშის მოძრაობაში მონაწილეობენ, არსებითი წვლილი შეაქვთ ამ კეთილშობილურ საქმეში.

ვიმედოვნებ, რომ თქვენი მორიგი შეხვედრა კიდევ ერთი ნიშანსვეტი იქნება იმ საკითხების გადაჭრის გზაზე, რომლებიც აღელვებს მშვიდობისმოყვარე კაცობრობას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ნ. ხრუშჩოვი.

ქალაქ დიჟონის მერს კატეგორიულ კანონიკს ფ. კირს

დღეს, როცა ქალაქი დიჟონი აღნიშნავს გერმანელ ფაშისტ ოკუპანტებისაგან თავისი განთავისუფლების ოცი წლისთავს, დიდი სიამოვნებით მოგესალმებით აქ, მოსკოვში, და გთხოვთ გულითადი მილოცვა და საუკეთესო სურვილები გადაეცეთ თქვენი ქალაქის მცხოვრებლებს.

განსაკუთრებით სასიამოვნოა გავიხსენო მეგობრული შეხვედრა დიჟონელებთან და კარგი მასპინძლობა, რაც 4 წლის წინათ გამიწევიეს ქალაქში ყოფნისას.

დიჟონისა და ჩვენი გმირი ეოლგოგრადის მზარდი მეგობრობა გამოხატავს საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხების მისწრაფებას, განავითარონ და განმტკიცონ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობა, უზრუნველყონ მტკიცე მშვიდობა სახელმწიფოებს შორის.

პატივისცემით ნ. ხრუშჩოვი.

1964 წლის 11 სექტემბერი.

მეგობრული შეხვედრები

12 სექტემბერს კრემლში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი ესაუბრა ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს სარვაპალი რადჰაკრიშნანს.

გულთბილ, გულითად საუბარში მათ განიხილეს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხები. განხილულ იქნა აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის პრობლემები.

ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა დოქტორმა სარვაპალი რადჰაკრიშნანმა 12 სექტემბერს საუზმე გამართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ა. ი. მიკოიანის პატივსაცემად.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუზმეზე იყვნენ აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ი. ვორონოვი და სხვა ოფიციალური პირნი.

მოსკოვი, 11 სექტემბერი (საკდესი). დღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მთავრობამ კრემლის დიდ სასახლეში გამართეს სადილი ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის დოქტორ სარვაპალი რადჰაკრიშნანის პატივსაცემად.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. ი. მიკოიანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი და სხვა საბჭოთა ხელმძღვანელი მოღვაწეები.

ინდოეთის პრეზიდენტი იყო ვ. ი. ლენინის მავზოლეუმში

12 სექტემბერს ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ს. რადჰაკრიშნანი მივიდა ვ. ი. ლენინის მავზოლეუმში. სპეციალ სტუმარმა მავზოლეუმში შეიმკო გვირგვინით, რომლის ლენტზე წარწერილია: „საბჭოთა ხალხის დიდი ბელადისა და ინდოეთის მეგობრის ვ. ი. ლენინის ხსოვნას. ს. რადჰაკრიშნანი, ინდოეთის პრეზიდენტი“.

გაგეთ „სელსკაია ჟიზნის“ რედაქციის კოლექტივს, გაგეთის სოფლის კორესპონდენტებსა და მკითხველებს

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ ულოცავს გაზეთ „სელსკაია ჟიზნის“ რედაქციას, მრავალრიცხოვან სოფლის კორესპონდენტსა და მკითხველს გაზეთის მეათეათასე ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით.

გაზეთი „სელსკაია ჟიზნი“ აქტიურად ეხმარება პარტიას სოფლის მეურნეობის განვითარების დიდი ამოცანების გადაწყვეტაში, მოწინავე გამოცდილების პროპაგანდაში, სამრეწველო საფუძველზე სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ორგანიზაციაში. გაზეთი დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს იმ საქმეში, რომ სოფლის მშრომელები აღზარდოს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, კომუნიზმის მშენებლობის დიადი საქმისადმი ერთგულების სულისკვეთებით.

ახლა, როდესაც პარტიამ დასახა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის კურსი, განუზომლად იზრდება პრესის როლი. გაზეთები და ჟურნალები მოწოდებული არიან ყოველმხრივ და ღრმად გვიჩვენონ მეურნეობის ინტენსიური გაძღოლის, წარმოების სპეციალიზაციის ნიმუშები, გააშუქონ ტექნიკის მაღალმწარმოებელური გამოყენების, შრომისა და სახსრების უცილრესი დანახარჯების პროდუქციის მაქსიმალური რაოდენობით მიღების გამოცდილება. ამ საქმეში ღირსეული როლი უნდა შეასრულოს „სელსკაია ჟიზნმა“, როგორც მასობრივმა სახალხო-სამეურნეო გაზეთმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი უსურვებს „სელსკაია ჟიზნის“ კოლექტივს, მის კორესპონდენტებს, მილიონობით მკითხველს ახალ წარმატებებს სოფლის მეურნეობისა და სოფლის მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში სკკპ პროგრამის შესრულებისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური
პარტიის ცენტრალური კომიტეტი

1964 წ. 11 სექტემბერი.

ტანკისტის დღის აღსანიშნავად

მოსკოვი, 12 სექტემბერი (საკდესი). დღეს საბჭოთა არმიის მ. ვ. ფრუნზეს სახელობის ცენტრალური სახლის წითელდროშოვან დარბაზში გაიმართა დედაქალაქის მშრომელთა და მოსკოვის გარნიზონის მეომართა წარმომადგენლების საზეიმო კრება, მიძღვნილი ტანკისტის დღისადმი.

ღირსშესანიშნავ მოვლენას — ტანკისტის დღეს მიეძღვნა მშრომელთა საქალაქო საზეიმო კრება თბილისის გარნიზონის ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად. რომელიც 12 სექტემბერს გაიმართა თბილისის ოფიცერთა სოლ-ქო სახლის პარკის საბაფხეულო თეატრში.

კრების პრეზიდიუმში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე ო. დ. გოცირიძე, გენერალ-პოლკოვნიკი თ. ა. სტეპანენკო, სტალინურ ჯარების გენერალ-ლეიტენანტი მ. ვ. ლუგოვცევი, გენერალ-ლეიტენანტი ი. ს. კაბანენი, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ო. ი. ლოლაშვილი, გენერლები და ოფიცრები, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საზეიმო კრება გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ შ. ე. ბუხრაშვილმა.

ყველს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

საბჭოთა არმიის ჯვაშსატანკო ჯარების სახელოვანი გზის შესახებ უამბო შეკრებილთ საბჭოთა კავშირის გმირმა, გენერალ-მაიორმა ვ. ნ. ბარანიუკმა.

საზეიმო ნაწილის შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი. (საკდესი).

ბრძანება

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

№201 ქ. მოსკოვი
1964 წლის 13 სექტემბერი

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

ამხანაგებო, სატანკო მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო!

დღეს საბჭოთა ხალხი და მისი მამაცი შეიარაღებული ძალები დღესასწაულობენ ტანკისტის დღეს.

ჩვენი დიადი სამშობლოს მშრომელები ამ დღესასწაულს აღნიშნავენ უდიდესი შემოქმედებითი აღმავლობის ვითარებაში.

მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი მტკიცედ მიდის კომუნიზმის მშენებლობის ლენინური გზით და თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვა ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, ჩვენი სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებაში.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა აქტიურად და ბეჯითად იბრძვიან ომის თავიდან აცილებისათვის, საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის, მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ იმპერიალიზმის აგრესიულ ძალებს, საღი გონების საწინააღმდეგოდ, შეუძლიათ გააჩაღონ ახალი მსოფლიო ომი.

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები საიმედოდ და ფხიზლად დგანან საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის სადარაჯოზე.

ტანკისტ მეომრებს აქვთ მძლავრი საბრძოლო ტექნიკა. საბჭოთა ტანკისტების წმიდათა წმიდა მოვალეობაა დაუცხრომლად შრომობდნენ თავიანთი საბრძოლო ოსტატობის სრულყოფისათვის, გულმოდგინედ ეუფლებოდნენ ახალ ტექნიკას, იჩენდნენ შეუნელებელ სიფხიზლეს და მუდამ მზად იყონ გამანადგურებელი დარტყმა მიაყენონ ყოველ აგრესორს.

მოგესალმებით და მოგილოცავთ საყოველთაო-სახალხო დღეს ასწაულს — ტანკისტის დღეს. ვუსურვებ სატანკო ჯარების პირად შემადგენლობას შემადგენლობას შემდგომ წარმატებებს საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში, სამხედრო დისციპლინის განმტკიცებასა და ჯარის ნაწილებისა და შენაერთების საბრძოლო მზადყოფნის გაძლიერებას.

სატანკო მრეწველობის ყველა მუშაკს ვუსურვებ ახალ მიღწევებს პირველხარისხოვანი ჯავშანსატანკო ტექნიკის შექმნაში.

ტანკისტის დღის დღესასწაულის აღსანიშნავად მბრძანებ:

დღეს, 1964 წლის 13 სექტემბერს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქებსა და გმირ ქალაქებში მიცემულ იქნეს სალუტი ოცი სალტილერიო ზალვით.

გაუმარჯოს კომუნიზმის მშენებელ დიდ საბჭოთა ხალხს!

გაუმარჯოს საბჭოთა შეიარაღებულ ძალებსა და მათ სახელოვან სატანკო ჯარებს!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს.

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი
რ. მალინოვსკი.

13 სექტემბერი ტანკისტის დღეა

ა. ი. მიკოიანის შეხვედრა „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ საზოგადოების დელეგაციასთან

ერთი კვირაა საბჭოთა კავშირში იმყოფება საფრანგეთის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა, „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ საზოგადოების წევრთა დიდი ჯგუფი, რომელიც საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის შეხვედრაზე ჩამოვიდა. ჯგუფს მეთაურობენ პრეზიდენტები — ეროვნული კრების თავმჯდომარის მოადგილე რ. შმატლენი, ადვოკატი ა. ბლუმენი და მეტალურგთა ფედერაციის მდივანი მ. პარისი.

დელეგაციის წევრთა შორის არის საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი რ. ლერუა. დელეგაციაში შედიან საფრანგეთის პარლამენტის დეპუტატები, ქალაქების მერები, გენერალური და მუნიციპალური მრჩევლები, საფრანგეთის წინააღმდეგობის მონაწილენი, მეცნიერები, კულტურის მოღვაწეები, მასწავლებლები, მუშები.

12 სექტემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. ი. მიკოიანი კრემლში შეხვდა „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ საზოგადოების დელეგაციის წევრებს.

ა. ი. მიკოიანი გულთბილად მიესალმა შეხვედრის მონაწილეებს — ფრანგი ხალხის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებს, უსურვა მათ წარმატებანი კეთილშობილურ საქმიანობაში საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ხალხთა მეგობრული ურთიერთობის გაფართოებისათვის.

„საფრანგეთ-სსრ კავშირის“ საზოგადოების პრეზიდენტმა ა. ბლუმელმა დელეგაციის სახელით მადლობა გადაუხადა ა. ი. მიკოიანს გულთბილი მიღებისათვის, სასარგებლო და შინაარსიანი საუბრისათვის. (საკდესი).

ვიზიტი დამთავრდა

მოსკოვი, 12 სექტემბერი. (საკდესი). სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის, საბჭოთა კავშირის მარშალის რ. ი. მალინოვსკის მოწვევით საბჭოთა კავშირში ორ კვირაზე მეტ ხანს ოფიციალურ ვიზიტად იმყოფებოდა ინდოეთის სამხედრო დელეგაცია, რომელსაც ინდოეთის თავდაცვის მინისტრი ი. ბ. ჩავანი მეთაურობდა.

დღეს ინდოეთის თავდაცვის მინისტრი ი. ბ. ჩავანი და მისი თანმხლები პირნი მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრნენ.

საბჭოთა დელეგაცია სამშობლოში დაბრუნდა

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ლ. ნ. ბრეჟნევის მეთაურობით დაამთავრა ვიზიტი მოძმე ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში. 12 სექტემბერს დელეგაცია სოფიიდან მოსკოვში დაბრუნდა.

იაპონიის პარლამენტარები საქართველოში

„მოსკოვის მიხედვით არ შეიძლება ვიმსჯელოთ მთელ საბჭოთა კავშირზე, ისევე როგორც ტოკიოს მიხედვით არ შეიძლება ვიმსჯელოთ მთელ იაპონიაზე“, — განაცხადა იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში ტაკესოო სიმოდამ დარბაზობაზე, რომელიც იაპონიის პარლამენტართა პატივსაცემად გაიმართა. მსოფლიოში არიან ადამიანები, რომლებიც ამბობენ, საბჭოთა კავშირი აზიის ქვეყანა არ არისო, მაგრამ საკმარისი იყო ჩავსულიყავით ჩვენი ქვეყნის მაზლობელ ხაბაროვსკში და დავრწმუნებულიყავით, რომ ეს აზიაა გეოგრაფიულად, ჩავსულიყავით ტამკენტში და დავრწმუნებულიყავით, რომ ეს აზიაა ეროვნული თვალსაზრისით.

საქართველო ევროპისა და აზიის გასაყარზე მდებარეობს. ახლა ეს უძველესი კულტურის ქვეყანა ახალგაზრდა — აყვავებული რესპუბლიკად გადდა, სადაც სწრაფად იზრდება ეკონომიკა. საქართველომ ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა“, — თქვა დაასასრულ ელჩმა.

იაპონიის პარლამენტის დელეგაციის ჯგუფი, რომელსაც წარმომადგენლობა პალატის საპარლამენტო საქმეთა მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარე ბატონი კენდი ფუკუნაგა მეთაურობს, გუშინ კვლავ ეცნობოდა საქართველოს.

დღით იაპონელი პარლამენტარები, რომლებსაც ახლდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ი. მ. კრატენკო, ა. კ. ჩორნი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის წევრი ნ. ბ. ჩერქეზიშვილი, ავტომობილებით გაემგზავრნენ რუსთავში. აქ მათ დაათვალიერეს მეტალურგიული ქარხანა. ქარხნის დირექტორმა ო. ნ. სულაძემ სტუმრებს გააცნო საწარმოს ისტორია, რომლის მშენებლობაც ომის წლებში დაიწყო. ჩვენი ქვეყნის ამ ერთ-ერთი უდიდესი მეტალურგიული ქარხნის მშენებლობამ დასაბამი მისცა ბევრი სხვა საწარმოს შექმნას რუსთავში.

იაპონიის პარლამენტარები დაინტერესდნენ, თუ როგორია ქარხნების პროდუქცია. მისი ხედლეულის ბაზა, მუშათა ხელფასი, დაინტერესდნენ ეროვნული კადრების მომზადების საკითხებით. მათ გამოიკითხეს, როგორ შეიქმნა ქალაქი რუსთავი, რომელმაც მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თავისი არქიტექტურით. სტუმრებს აცნობეს, რომ რუსთავის მშენებლობა ქარხნასთან ერთად დაიწყო და 20 წელიწადში აქ ამენდა 1 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

იაპონიის პარლამენტის დეპუტატებმა დათვალიერეს საწარმო. მარტენის საამქროში მათ ნახეს ფოლადის გამოდნობა. დიდი ყურადღებით გაეცნენ ისინი „400“ მილაგლინავ დგანს. სტუმრებს უთხრეს, რომ ამ აგრეგატის ავტომატიზაციისათვის ქარხნის მუშაკთა ჯგუფს ლენინური პრემია მიენიჭა.

მუშებთან გამოთხოვებისას პარლამენტარებმა მათ წარმატებანი უსურვეს ცხოვრებაა და შრომაში. საჭილი დგანის უფროსმა შვალცავმა დაეთან გვრიტიშვილმა სთხოვა მათ მბურავლე სალამი გადასცენ იაპონელ მუშებს. დელეგაციის მეთაურმა კენდი ფუკუნაგამ თქვა, რომ აუცილებლად გადასცემს ამ სალამს და თავის მხრივ იაპონელი ხალხის სალამი გადასცა ქართველ მეტალურგებს. ქარხნის საპატიო სტუმართა წიგნში დელეგაციის წევრებმა ჩაწერეს: „იაპონიის კეთილი ნების დელეგაცია მოხარულია, რომ იყო ქართველ მეტალურგთა საწარმოში“.

დელეგაციის მეთაურმა, წარმომადგენლობა პალატის საპარლამენტო საქმეთა მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარემ ბატონმა კენდი ფუკუნაგამ საქმესის კორესპონდენტს გაუზიარა რუსთავის ნახვის შედეგად მიღებული შთაბეჭდილებანი.

—„იაპონიაში, — თქვა ბატონმა ფუკუნაგამ, — აგრეთვე ბევრი მეტალურგიული საწარმოა, მაგრამ რუსთავის ქარხანამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თავისი მასშტაბით. მეტად საინტერესოა აღინიშნოს, რომ ქარხნის დირექტორი, როგორც მე მითხრეს მხოლოდ 35 წლისაა და უკვე ორი წელია ხელმძღვანელობს ქარხანას. იაპონიაში ასეთი საწარმოს ხელმძღვანელი რომ გახდე, სოლიდური ასაკია საჭირო.

ბატონმა კენდი ფუკუნაგამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა პარლამენტის დელეგაციის იაპონიაში ყოფნის დროს, რომელსაც ა. ი. მიკოიანი მეთაურობდა, დელეგაციას უჩვენეს ივატისა და კობესეიოს მეტალურგიული საწარმოები. „აქ კი ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა დაგვათვალიერებინა თქვენი საწარმო. საწარმოს ასე სრულად გაცნობა ხელს უწყობს გამოცდილების გაზიარებას, უკეთეს ურთიერთგაგებას“.

მეტად სასიხარულოა, განაგრძო ბატონმა ფუკუნაგამ, რომ თქვენს საწარმოს მშვიდობიანი ხასიათი აქვს.

რუსთაველიდან იაპონელი პარლამენტარები გაემგზავრნენ მცხეთაში, სადაც დათვალიერეს ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები. დელეგაციის მეთაურთან მოადგილემ, წარმომადგენელთა პალატის წევრმა სოციალისტური პარტიისაგან ხიძეკაძე იანაგიდამ აღნიშნა, რომ საბჭოთა ქვეყანაში დიდი ყურადღება ეთმობა ისტორიული ძეგლების დაცვას. მან შემდეგ ისურვა, რომ რაც შეიძლება მეტი იაპონელი მეცნიერი ჩამოდიოდეს საქართველოში. კარგი იქნება, თქვა ბატონმა იანაგიდამ, რომ ნორჩი მოცეკვავენი, რომლებიც თბილისის პიონერთა სასახლეში ვნახეთ, ჩამოვიდნენ იაპონიაში. „მათ დიდი წარმატება ექნებათ ჩვენში“.

სალამოს იაპონიის პარლამენტართა დელეგაციის ჯგუფი სოჭში გაემგზავრა. სტუმრები გააცილეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ რ. რ. დვალმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. ა. კვაკაძემ, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. მ. სირაძემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის წევრმა ნ. ბ. ჩერქეზიშვილმა, მინისტრებმა, სსრ კავშირის; საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატებმა, ჟურნალისტებმა.

აეროდრომზე რ. რ. დვალმა და იაპონიის პარლამენტის დელეგაციის ჯგუფის მეთაურმა, წარმომადგენელთა პალატის საპარლამენტო საქმეთა მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარემ ბატონმა კენდი ფუკუნა

მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემოქმედებითი შესწავლისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი დაიწყება ახალი სასწავლო წელი მილიონთა ნამდვილად ლენინურ უნივერსიტეტში — პოლიტიკური განათლების სისტემაში. ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე საბჭოთა ხალხი ისწრაფვის ღრმად შეისწავლოს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკის მეცნიერული საფუძველი, მისი პრაქტიკული საქმიანობის თეორიული საძირკველია.

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ კომუნისტები, კომკავშირელები, ყველა მშრომელი შემოქმედებითად დაეუფლონ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, სწორად გაიგოს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საშინაო და საგარეო პოლიტიკური პრობლემები, საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სხვა მარქსისტულ-ლენინური პარტიების ბრძოლასთან საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთობისა და შეკავშირებისათვის.

საბჭოთა ადამიანებისათვის, რომლებიც გრანდიოზულ მუშაობას ეწევიან ახალი კომუნისტური საზოგადოების შესაქმნელად, რევოლუციური თეორიის შესწავლა უაღრესად მნიშვნელოვანია, ვინაიდან სწორედ მარქსიზმ-ლენინიზმია ყველაზე სწორი კომპასი კომუნიზმისაკენ წინსვლაში, გვაძლევს სწორ, მეცნიერულად დასაბუთებულ პასუხს თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების, რევოლუციური ბრძოლის პრაქტიკის ახალ კითხვებზე. მეცნიერული კომუნიზმის ღრმა დაუფლება ეხმარება მშრომელებს აქტიურად და შეგნებულად იბრძოლონ ჩვენი პარტიის ლენინური პოლიტიკის გამარჯვებისათვის, სწორად გაიგონ მსოფლიო განვითარების მსვლელობა და პერსპექტივა, კარგად გაერკვნენ ჩვენს ქვეყანაში და საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარ მოვლენებში, იცხოვრონ კომუნისტურად.

I.

ახალ სასწავლო წელს პოლიტიკური განათლების სისტემაში სწავლება ახლებურად წარიმართება. მოეწყობა მარქსისტულ-ლენინური თეორიის უმნიშვნელოვანესი პრობლემების, თანამედროვე პერიოდში იმ განსაკუთრებით საჭირბოროტო პრობლემების ფართო შემოქმედებითი შესწავლა, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული იმასთან, რითაც ცხოვრობენ ჩვენი პარტია და საბჭოთა ხალხი. **მიმდინარე სასწავლო წელს პოლიტიკური განათლების სისტემის მუშაობის ძირითადი შინაარსი უნდა გახდეს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის, მსოფლიო სოციალისტური სისტემის განვითარების აქტუალური პრობლემების, მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში კომუნისტური და მუშათა პარტიების სტრატეგიისა და ტაქტიკის ღრმა შესწავლა.**

მთელი ყურადღება უნდა მიექცეს მთავარს, იმას, რაც შეესაბამება კომუნისტების, ყველა საბჭოთა ადამიანის საარსებო ინტერესებს. სახელდობრ:

— პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებულია საბჭოთა ხალხის მიერ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების განხორციელებასთან, სსრ კავშირში კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან, სკკპ პროგრამის განხორციელებასთან;

— მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებზე მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთობისათვის და მსოფლიო სოციალისტური სისტემის შეკავშირებისათვის ბრძოლის საკითხებს;

— სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის გზებისა და მეთოდების, კომუნისტური პარტიის, როგორც თანამედროვეობის ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური ძალის როლის ღრმა გაშუქებას;

— მსოფლიოს რევოლუციურ გარდაქმნაში მსოფლიო სოციალისტური სისტემის საერთაშორისო მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მნიშვნელობას;

— სხვადასხვა სოციალური სისტემის ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის ისტორიული აუცილებლობისა და მსოფლიო ომის თავიდან აცილების შესაძლებლობის ახსნა-განმარტებას;

—ჩინეთის ხელმძღვანელთა იდეოლოგიასა და პრაქტიკაში პიროვნების კულტის გადაჭრით მხილების აუცილებლობას.

თანამედროვე ეპოქა, რომლის ძირითადი შინაარსია მსოფლიო მასშტაბით კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა, უდიდესი ძალით ცხადყოფს მარქსისტულ-ლენინური რევოლუციური თეორიის სიდიადესა და სიცხოველეს.

კომუნისტური და სოციალისტური მშენებლობის დიადი წარმატებანი, კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდი წარმატებანი მოწმობენ, რომ მარქსიზმ-ლენინიზმი ერთადერთი სწორი, უაღრესად მეცნიერული თეორიაა, რომელიც უპასუხებს ისტორიული განვითარების ყველა ძირითად პრობლემას.

მარქსიზმ-ლენინიზმი შემოქმედებითი, ინტერნაციონალური მოძღვრებაა, რომელიც განუწყვეტლივ ვითარდება. იგი განუწყვეტლივ მდიდრდება სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის გამოცდილებით, კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთა რევოლუციური ბრძოლისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოცდილებით.

ვ. ი. ლენინმა არა ერთხელ აღნიშნა ხაზგასმით, რომ მუშათა კლასის რევოლუციური თეორია „არ არის დოგმა, არამედ საბოლოოდ ყალიბდება ნამდვილად მასობრივი და ნამდვილად რევოლუციური მოძრაობის პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირში“. მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების უდიდესი გავლენის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა მისი შემოქმედებითი ხასიათი, ორგანული ერთიანობა მსოფლიო რევოლუციურ პრაქტიკასთან. მარქსიზმ-ლენინიზმმა გაიმარჯვა ჩვენს ცხოვრებაში, მას განასახიერებს ახალი საზოგადოების მილიონობით მშენებლის პრაქტიკული საქმეები, ჩვენ ვცხოვრობთ და ვმუშაობთ ისე, რომ მომავლის გზას ვამოწმებთ მარქსისა და ლენინის მოძღვრების მიხედვით. ეყრდნობა რა ლენინური მოძღვრების სულისკვეთებას, ჩვენი პარტია შემოქმედებითად ამუშავებს კომუნისტური მშენებლობის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს, ყოველმხრივ იკვლევს კომუნისტური საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის დამკვიდრების გზებს, მსოფლიო საზოგადოებრივი განვითარების, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის აქტუალურ საკითხებს, მშვიდობისა და ომის პრობლემებს თანამედროვე პირობებში.

სოციალიზმისა და კაპიტალიზმის ისტორიული ბრძოლების უკანასკნელმა ათწლეულებმა, სსრ კავშირში კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პრაქტიკამ, სხვა სოციალისტურ სახელმწიფოთა მიღწევებმა, მთელი რევოლუციური მოძრაობის აღმავლობამ დიდად გაამდიდრეს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება. რევოლუციური თეორიის ახალი დასკვნები და დებულებები, რომლებიც ჩამოყალიბებულია კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირების დოკუმენტებში, სკკპ XX და XXII ყრილობების გადაწყვეტილებებში, სკკპ პროგრამაში, მოძმე კომუნისტური პარტიების დოკუმენტებში, ხელს უწყობენ დიდი და რთული ამოცანების გადაჭრას, რომლებიც წაჰიჭრა რევოლუციური ძალების წინაშე ჩვენს ისტორიულ ეპოქაში.

მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი განვითარება ნიშნავს ვიბრძოლოთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის შექმნისათვის, ახალი ადამიანის აღზრდისათვის, ეს ნიშნავს ვიბრძოლოთ ადამიანთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, სულიერ სიმდიდრეთა სიუხვის შექმნისათვის, მშრომელთა კულტურის უდიდესი ამაღლებისათვის. კომუნიზმის წარმატებითი მშენებლობა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების საუკეთესო აგიტატორია.

პარტია მოუწოდებს კომუნისტებს, ყველა საბჭოთა ადამიანს შემოქმედებითად შეისწავლონ მარქსიზმ-ლენინიზმი. ყველა საბჭოთა ადამიანმა სწორად და ღრმად უნდა გაიგოს მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებისათვის, ჩინეთის ხელმძღვანელთა გამთიშველი მოქმედების წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სხვა მარქსისტულ-ლენინური პარტიების ბრძოლის შინაარსი, იბრძოლოს პარტიის ლენინური პოლიტიკის გამარჯვებისათვის, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების გამარჯვებისათვის. შეისწავლის რა მსოფლიო კომუნისტური ფრონტის ყველა რაზმის ერთობისა და შეკავშირებისათვის ბრძოლის უმნიშვნელოვანეს საკითხებს, **თითოეულმა საბჭოთა ადამიანმა კიდევ უფრო ღრმად უნდა შეიგნოს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გენერალური კურსის სიცხოველე და სასწორე, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიადი პრინციპების გამარჯვების გარდუვალობა.**

მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი შესწავლა ყველა საბჭოთა ადამიანის პოლიტიკური აღზრდის შესანიშნავი სკოლა, კომუნისტურ მშენებლობაში ხალხის შეგნებისა და აქტივობის ზრდის მძლავრი საშუალებაა. კომუნისტების, ყველა საბჭოთა ადამიანის პოლიტიკური განათლება რევოლუციური თეორიის ამა თუ იმ დასკვნისა და დებულების უბრალო შეთვისება როდია, უწინარეს ყოვლისა ეს ნიშნავს, რომ უნდა გამოვიმუშაოთ კომუნიზმის მშენებლობის პრაქტიკაში თეორიული ცოდნის გამოყენების უნარი. პოლიტიკური ცოდნა საბჭოთა ადამიანების მრწამსად უნდა გადაიქცეს, უნდა დარაზმოს ისინი დაუნდობელი ბრძოლისათვის მტრული იდეოლოგიის წინააღმდეგ, იმის წინააღმდეგ, რაც ხელს გვიშლის კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში, აღზარდოს შეუწყნარებლობა, სიძულვილი მუქთახორების, მომხვეჭების, მექრთამეების, ხულიგნების, ქურდების, ყველა იმის წინააღმდეგ, ვინც წარსულის გადმონაშთების მატარებელია.

II.

ახალი სასწავლო წლისათვის პოლიტიკური განათლების სისტემაში შემუშავებულია სავარაუდო სასწავლო გეგმა. იგი შეიცავს შემდეგ 12 თემას: ჩვენი ეპოქის ხასიათი და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის გენერალური ხაზი; ბრძოლა მშვიდობისათვის და მსოფლიო რევოლუციური პროცესის განვითარება; მსოფლიო სოციალისტური სისტემა თანამედროვეობის გადამწყვეტი რევოლუციური ფაქტორია; მარქსიზმ-ლენინიზმი სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის კანონზომიერებათა შესახებ; სსრ კავშირში კომუნისტური მშენებლობის საერთაშორისო მნიშვნელობა და მისი გავლენა მსოფლიო რევოლუციური პროცესის განვითარებაზე; სოციალისტური სახელმწიფოს შესახებ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების განვითარება სკკპ პროგრამაში; მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება პარტიის შესახებ და მისი განვითარება სკკპ პროგრამაში; მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება მასებისა და პიროვნების როლის შესახებ ისტორიულ პროცესში; კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასის ბრძოლა თანამედროვე ეტაპზე; ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თანამედროვე ეტაპი; მარქსიზმ-ლენინიზმი ყველა ქვეყნის კომუნისტთა დიადი ინტერნაციონალური მოძღვრებაა; მარქსიზმ-ლენინიზმი კომუნისტური პარტიების საერთაშორისო ერთიანობისა და შეკავშირების შესახებ.

ამოცანა ის არის, რომ თითოეულმა კომუნისტმა, მილიონობით კომკავშირელმა, მშრომელთა ფართო მასებმა ღრმად და ყოველმხრივ შეისწავლონ ჩვენი დროის ეს აქტუალური პრობლემები. აღნიშნული გეგმის შესაბამისად მიმდინარე წელს უნდა **მოეწყოს მეცადინეობა წრეებში, თეორიულ სემინარებსა და პოლიტიკური განათლების სხვა ფორმებში.** მომავალ სასწავლო წელს პოლიტიკური განათლების ძირითადი მეთოდი უნდა იყოს მარქსისტულ-ლენინური თეორიის **დამოუკიდებელი შესწავლის მეთოდი.**

კომუნისტური შრომის სკოლების, სახალხო უნივერსიტეტების სასწავლო გეგმებსა და პროგრამებში შეტანილ უნდა იქნეს თემები, რომლებიც ეძღვნება ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორიც არის სსრ კავშირში კომუნისტური მშენებლობა, მსოფლიო სოციალისტური სისტემის განვითარება, კომუნისტური და მუშათა პარტიების სტრატეგია და ტაქტიკა თანამედროვე ეტაპზე. ლექციათა კურსი აღნიშნულ პრობლემებზე შემოღებულია მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტების ყველა ფაკულტეტის სასწავლო გეგმებშიც.

იმისათვის, რომ დავაკმაყოფილოთ მშრომელთა დიდი ინტერესი ისეთი საკითხებისადმი, როგორიც არის სსრ კავშირში კომუნისტური მშენებლობის თეორია და პრაქტიკა, მსოფლიო სოციალისტური სისტემის, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის განვითარება, საჭიროა ამ პრობლემებზე მოვაწყოთ ლექციათა ციკლი, კითხვა-პასუხის საღამოები, შეიქმნათ პოპულარული ლექტორიუმები სამრეწველო საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და სხვ.

უფრო ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ამ საკითხთა შესწავლის შესაძლებლობანი უმაღლეს და საშუალო სკოლაში.

პარტიულმა კომიტეტებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ხელმძღვანელი კადრების მარქსისტულ-ლენინურ სწავლებას. საკითხი ასე დგას: მთელმა ჩვენმა პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა, სამეურნეო აქტივმა, ყველა ხელმძღვანელმა მუშაკმა თავიდან ბოლომდე უნდა გვიჩვენოს მარქსისტულ-ლენინური თეორიის აქტუალური პრობლემების სისტემატური, მიზანდასახული შესწავლისა და მშრომელთა შორის პოლიტიკურ მუშაობაში აქტიური უშუალო მონაწილეობის მაგალითი.

თითოეული ხელმძღვანელის ერთ-ერთი უმთავრესი მოვალეობა ის არის, რომ იყოს ყოველმხრივ მარქსისტულად განვითარებული მუშაკი, ნათლად ესმოდეს ჩვენი პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, აქტიურად და განუხრელად ახორციელებდეს მას, რადგან **თანამედროვე პირობებში არ შეიძლება იყოს მშრომელთა ნამდვილი ხელმძღვანელი ორგანიზატორი და აღმზრდელი ის, ვინც არ სწავლობს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, არ იცის როგორ დარაზმოს მასები პარტიის ლენინური გეგმების განხორციელებისათვის საბრძოლველად.**

კადრების მარქსისტულ-ლენინური მომზადებისათვის ფართოდ უნდა გამოვიყენოთ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო აქტივის სხვადასხვა კურსები, სკოლა და უნივერსიტეტი, მუდმივად მოქმედი სემინარები, თეორიული კონფერენციები და სხვ. **ხელმძღვანელი კადრების პოლიტიკური წრთობისათვის ფრიად საჭიროა მათი პირადი მონაწილეობა პოლიტიკურ განათლებაში,** რეგულარულად გამოსვლა მშრომელების წინაშე ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებისათვის საბჭოთა კავშირისა და სხვა მარქსისტულ-ლენინური პარტიების ბრძოლის საკითხებზე, საერთაშორისო ცხოვრების აქტუალურ პრობლემებზე.

მეცადინეობის იდეურ-თეორიული დონე დამოკიდებულია უწინარეს ყოვლისა პროპაგანდისტთა შემადგენლობაზე, მათს თეორიულ მომზადებაზე. სწორად იქცევიან ის პარტიული კომიტეტები, რომლებიც აპირებენ მომავალ სასწავლო წელს პროპაგანდისტულ მუშაობაში ჩაებან ყველაზე მომზადებული კომუნისტები, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკები, სასწავლებელთა მასწავლებლები, სახალხო მეურნეობის სპეციალისტები. მიმდინარე წელს თვით შინაარსი მეცადინეობისა პოლიტიკური განათლების ქსელში გულისხმობს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას კარგად დაუფლებული მაღალკვალიფიციური პროპაგანდისტების ახალი კადრების მნიშვნელოვან ზრდას. **მაღალი პოლიტიკური და თეორიული სიმწიფე პირველი მოთხოვნაა პროპაგანდისტთა კადრებისადმი.**

პარტიული ორგანიზაციებისა და პარტიული კომიტეტების მოვალეობა ის არის, რომ ყოველმხრივ მოემზადონ ახალი სასწავლო წლისათვის, უზრუნველყონ მეცადინეობის მაღალი იდეური და თეორიული დონე პოლიტიკური განათლების სისტემის ყველა რგოლში. იდეოლოგიურ მუშაობას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თეორიისა და პოლიტიკის პროპაგანდას, მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებით, გაღრმავებულ შესწავლას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ამჟამად. სწავლის დროს უნდა მივაღწიოთ იმას, რომ კომუნისტებსა და უპარტიოებს ნათლად ესმოდეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სხვა მარქსისტულ-ლენინური პარტიების პოლიტიკური ხაზისა და პრაქტიკული მოქმედების ღრმა მეცნიერული დასაბუთება, კარგად ერკვეოდნენ მასალის არსში, ხედავდნენ, თუ რა ორგანულად არის დაკავშირებული მათი შრომა საამქროებში, ყანაში, ლაბორატორიებში კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის ძირეულ ამოცანებთან.

უნდა გვახსოვდეს, რომ პოლიტიკური სწავლების ქმედითობა, მეცადინეობის იდეური დონე საბოლოო ანგარიშით იზომება მშრომელთა პოლიტიკური სიმწიფისა და შემოქმედებითი აქტივობის ზრდით, კომუნისტურ მშენებლობაში თვითეული საბჭოთა ადამიანის შეგნებული მონაწილეობით.

ახალი სასწავლო წლის წინ პოლიტიკური განათლების სისტემაში

ПРАВДА

პოლიტიკურ სწავლებაში შეუწყნარებელია ჭვრეტითი ხასიათი. მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება გამსჭვალულია საბრძოლო შეტევითი სულისკვეთებით ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, რევოლუციური მეცნიერების დამახინჯების ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ, იქნება ეს მარჯვნიდან თუ „მარცხნიდან“. თითოეული პროპაგანდისტი უნდა იყოს პარტიის აქტიური მებრძოლი, გვერდს არ უნდა უვლიდეს ჩამორჩენილ განწყობილებებს, ობივატელურ ხმებსა და ჭორებს, მისი მოვალეობაა გადაჭრით და უნარიანად ამხილოს საზღვარგარეთის ანტისაბჭოთა პროპაგანდის ცილისწამება. მეცადინეობის დროს ისმება სხვადასხვა საკითხი, ხდება ხოლმე, რომ ზოგიერთი მსმენელი გამოთქვამს არასწორ, მცდარ აზრებს. პროპაგანდისტის მოვალეობაა არც ერთი საკითხი არ დატოვოს განუმარტავი, დამაჯერებლად ცხადყოს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საგარეო და საშინაო პოლიტიკა გამოხატავს საბჭოთა ხალხის ძირეულ ინტერესებს.

ახლანდელ პირობებში, როცა გამწვავდა ბრძოლა იმპერიალისტური იდეოლოგიისა და მარქსიზმ-ლენინიზმის რევიზიის ყველა ფორმის წინააღმდეგ, განსაკუთრებით ჩინელ გამთიშველთა ანტილენინური, ოპორტუნისტული იდეურ-თეორიული პლატფორმის წინააღმდეგ, **პროპაგანდისტის ადგილი შემტევთა პირველ რიგებშია, იგი მოწოდებულია იყოს ლენინის დიადი პარტიის ნამდვილი პოლიტიკური მებრძოლი.** თითოეული პროპაგანდისტი, თითოეული პარტიული აქტივისტი მუდამ მგზნებარედ და დასაბუთებულად უნდა განუმარტავდეს მშრომელთა ფართო მასებს, თუ რა მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირში კომუნისტური მშენებლობის პროგრამას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სხვა მარქსისტულ-ლენინური პარტიების ბრძოლას საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებისათვის, ამომწურავ პასუხს უნდა იძლეოდეს დასმულ საკითხებზე.

III.

საბჭოთა კავშირში კომუნისტური მშენებლობის, მსოფლიო სოციალისტური სისტემის განვითარების, ჩინეთის ხელმძღვანელთა გამთიშველი მოქმედების წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სხვა მარქსისტულ-ლენინური პარტიების ბრძოლის პრობლემების ზედმიწევნით შესწავლისათვის საჭიროა განუწყვეტლივ, მიზანდასახულად ვიმუშაოთ მარქსის, ენგელსის, ლენინის უმდიდრეს თეორიულ მემკვიდრეობაზე, უმნიშვნელოვანეს პარტიულ დოკუმენტებზე. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების გენიალური ნაწარმოებები პარტიის, თითოეული კომუნისტის, ყველა საბჭოთა ადამიანის მძლავრი იდეური იარაღია.

განსაკუთრებული ყურადღებით უნდა ვიმუშაოთ სკკპ XX და XXII ყრილობების მასალებზე, პარტიის პროგრამაზე, ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების გადაწყვეტილებებზე, მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების (1957 და 1960 წლების) თათბირების დოკუმენტებზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილებზე კომუნისტური და მუშათა პარტიებისადმი, მოძმე მარქსისტულ-ლენინური პარტიების იმ დოკუმენტებზე, რომლებიც ეძღვნება საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთობისა და შეკავშირების განმტკიცების საკითხებს.

პარტიული კომიტეტების უპირველესი მოვალეობაა ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ პროპაგანდისტებს. სასწავლო წლის დაწყების წინ და სასწავლო წლის მსვლელობაში მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტები, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტები მოაწყობენ პროპაგანდისტთა ხანმოკლე კურსებს. საჭიროა უზრუნველვყოთ მეცადინეობის მაღალი მეცნიერული დონე და შემოქმედებითი ხასიათი, კურსების მუშაობაში ჩავაბათ თვალსაჩინო მეცნიერები, ლექტორები, პარტიული და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელები. საჭიროა, რომ პარტიულმა კომიტეტებმა მუდამ გააცნონ წრეებისა და სემინარების ხელმძღვანელებს სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხები, პროპაგანდისტები შეაიარაღონ აქტუალური მასალებით, რათა მეცადინეობა მჭიდროდ დაუკავშირონ კომუნისტური მშენებლობის, ახალი ადამიანის აღზრდის პრაქტიკულ ამოცანებს. **რესპუბლიკის, მხარის, ოლქის, ქალაქის, რაიონის, საწარმოო სამმართველოს, საწარმოს, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის თითოეული ხელმძღვანელი მუშაკის მოვალეობა უნდა იყოს ის, რომ რეგულარულად გამოდიოდეს პროპაგანდისტების წინაშე.**

ლექტორებს, პროპაგანდისტებს, წრეებისა და თეორიული სემინარების მსმენელებს, კომუნისტებს, რომლებიც ინდივიდუალური გეგმებით მუშაობენ, არსებით დახმარებას გაუწევს ის სტატიები და სხვა მასალები სსრ კავშირში კომუნისტური მშენებლობის, მსოფლიო სოციალისტური სისტემის განვითარების, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის სტრატეგიისა და ტაქტიკის, ამ მოძრაობის ერთიანობისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სხვა მარქსისტულ-ლენინური პარტიების ბრძოლის საკითხებზე, რომლებიც ქვეყნდება ცენტრალურ გაზეთებსა და ჟურნალებში „კომუნისტში“, „პარტიინაია ჟიზნში“, „პოლიტიჩესკოე სამოობრაზოვანიეში“. პოლიტიკური განათლების სისტემის სასწავლო პროგრამების თემების მიხედვით გამომცემლობები მასობრივი ტირაჟით ამზადებენ შესაბამის ლიტერატურას. მომავალ სასწავლო წელს უფრო დიდი როლი ეკისრება რადიოსა და ტელევიზიას მშრომელთა პოლიტიკურ განათლებაში. საუბრები და კონსულტაციები იმ საკითხებზე, რომლებიც შეტანილია სასწავლო გეგმებში, დიდ ადგილს დაიჭერენ რადიოსა და ტელევიზიის პროგრამებში.

ბევრი რამ უნდა გააკეთონ სასწავლო წლის დაწყებისათვის პოლიტიკური განათლების სახლებმა და კაბინეტებმა. მათი მოვალეობაა პროპაგანდისტებს დახმარება გაუწიონ მეცადინეობის პროგრამის შემუშავებაში წრეებისა და თეორიული სემინარების მსმენელთა შემადგენლობის გათვალისწინებით; მოაწყონ ყველაზე გამოცდილი პროპაგანდისტების სისტემატური კონსულტაციები; შეარჩიონ ლიტერატურა, დოკუმენტური კინოფილმები, დიაგრამები, ცხრილები და სხვა დამხმარე სახელმძღვანელოები.

პოლიტიკური განათლების სისტემის წარმატებითი მუშაობის მთავარი პირობა ის არის, რომ პარტიულმა კომიტეტებმა მუდმივი ყურადღება მიაქციონ მშრომელთა იდეური აღზრდის ამ უმნიშვნელოვანეს საშუალებას. მსაზის პოლიტიკური განათლების, მეცადინეობის იდეური დონის საკითხები უნდა იყოს ყველა პარტიული ორგანიზაციის განსაკუთრებული ზრუნვის საგანი, ამ საკითხებს სისტემატურად უნდა განიხილავდნენ პარტიულ კრებებზე, პარტიული კომიტეტების ბიუროების სხდომებსა და პლენუმებზე.

* * *

შევაიარაღოთ მთელი საბჭოთა ხალხი რევოლუციური თეორიის ღრმა ცოდნით, წარმატებით ჩამოვაყალიბოთ მათი კომუნისტური მსოფლმხედველობა — ეს იმას ნიშნავს, რომ უზრუნველვყოთ საბჭოთა ხალხის ახალი გამარჯვებების ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობა კომუნისტურ მშენებლობაში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის განხორციელებაში.

ჩვენი ქვეყნის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, რომლებიც თავიანთი შრომით ქმნიან კომუნისტურ საზოგადოებას, თვალსაჩინო წვლილი შეაქვთ საერთაშორისო მასშტაბით კაპიტალიზმზე სოციალიზმის გამარჯვების საქმეში. სსრ კავშირში კომუნისტური მშენებლობის წარმატებანი ლაჰვარს სცემენ იმპერიალიზმის პოზიციებს, უდიდეს დახმარებას უწევენ კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარიატს კლასობრივ ბრძოლაში, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, მთელ რევოლუციურ ძალებს.

კომუნისტურ მშენებლობაში პრაქტიკული მიღწევები ამავე დროს არის საუკეთესო პასუხი ჩინელი გამთიშველების მიმართ, რომლებიც ცდილობენ შეარყიონ ლენინის პარტიის მაღალი ავტორიტეტი. შელახონ საბჭოთა ხალხის საგმირო საქმეთა სიდიადე, გათიშონ მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა.

საბჭოთა ხალხი, რომელიც ავითარებს ეკონომიკას, ახორციელებს დიდი ქმნის გეგმებს, სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის კურსს, პირნათლად ასრულებს თავის ინტერნაციონალურ მოვალეობას ყველა ქვეყნის მშრომელთა წინაშე.

პოლიტიკური განათლების სისტემა ახალ სასწავლო წელს უნდა დაეხმაროს საბჭოთა ადამიანებს, კომუნისტებსა და უპარტიოებს ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგომ ისტორიულ ამოცანათა გადაწყვეტაში. **ყველა პარტიული ორგანიზაციის, ჩვენი იდეოლოგიური ფრონტის ყველა რგოლის ღირსების საქმე ის არის, რომ ახალი სასწავლო წელი გადააქციონ შემდგომი აღმავლობის წლად ჩვენი ქვეყნის იდეურ ცხოვრებაში, მშრომელთა მარქსისტულ-ლენინური წრთობის კიდევ უფრო ღრმა წლად.**

12 სექტემბერი, 1964 წ.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სამხედრო მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში ხანგრძლივი მუშაობისა და დამსახურებისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდება:

1. კალინოვსკის მაქსიმე ვალერიანეს-ძეს — სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკს.
2. კრუკოვსკის ბორის ვლადიმერის-ძეს — სამედიცინო სამსახურის პოდპოლკოვნიკს.
3. მირონოვს გრიგოლ სიმონის-ძეს — სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკს.
4. **ფინჩენკოს** პეტრე ევდოკიმეს-ძეს — სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკს.
5. ქისტაურს გიორგი ნიკოლოზის-ძეს — სამედიცინო სამსახურის მაიორს.
6. ჭორიძეს გიორგი გალაქტიონის-ძეს — სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკს.
7. ჯიბლაძეს გრიგოლ შერმანდის-ძეს — სამედიცინო სამსახურის პოდპოლკოვნიკს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჰაძე

ქ. თბილისი,
1964 წლის 10 სექტემბერი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ა. მ. ჰოჯუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახალხო განათლების და კულტურის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ოთხმოცდახუთ წელთან დაკავშირებით ამხ. ანდრია მაქსიმეს-ძე ჭოჭუა დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჰაძე

ქ. თბილისი,
1964 წლის 10 სექტემბერი.

ჩვენი პლანეტის დღეები

ერაყში შეთქმულებს ეძებენ

თურქეთი და კვიპროსის საკითხი

ინდოეთის და სსრ კავშირის ხალხთა საკეთილდღეოდ

დელი. 11 სექტემბერი. (საკდესი). „ინდოეთ-საბჭოთა კავშირის ეკონომიური თანამშრომლობა“ — ასეთი სათაურით არის გამოქვეყნებული ჟურნალი „ინდიან ენდ ფორინ რევიუს“ სექტემბრის ნომერში სარედაქციო სტატია, რომელშიც ხაზგასმულია, რომ ინდოეთის პრეზიდენტის დოქტორ სარვაპალი რადჰაკრიშნანის ვიზიტი საბჭოთა კავშირში ხელს შეუწყობს ამ ორი ქვეყნის მეგობრობის კიდევ უფრო განმტკიცებას.

ამ მეგობრობას მოწმობს, წერს ჟურნალი, ინდოეთ-საბჭოთა კავშირის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობა, რომელიც სულ უფრო ფართოვდება და რომელიც 1955 წელს დაიწყო მას შემდეგ, რაც ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ჯ. ნერუ ვიზიტად ჩავიდა საბჭოთა კავშირში, ხოლო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი — ინდოეთში. „ჯაკაპარლალ ნერუზე, — აღნიშნავს ჟურნალი, — უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა საბჭოთა კავშირის მიღწევებმა მრეწველობისა და ტექნიკის დარგში. მან პირადი ინტერესი გამოიჩინა ინდოეთ-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის განვითარებისადმი, რომელიც ამჟამად ინდოეთის ეკონომიკის თითქმის ყველა მხარეს მოიცავს“.

ამჟამად საბჭოთა კავშირის დახმარებით ინდოეთში დაახლოებით 40 სამრეწველო საწარმო შენდება, აღნიშნავს „ინდიან ენდ ფორინ რევიუ“. ბპილაის მეტალურგიული კომბინატი ინდოეთისათვის საბჭოთა კავშირის დახმარების ყველაზე აშკარა მაგალითია. კომბინატის პროდუქციისგან მიღებული მოლიანი შემოსავალი 1963-64 წლებში 117 მილიონ რუპიას აღემატება. საბჭოთა კავშირი ინდოეთს ეხმარება შემქმნას თავისი მძიმე მანქანათმშენებლობა, ქვანახშირისა და ნავთობის მრეწველობა. საბჭოთა კავშირის დახმარებით აშენებულ საწარმოებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ინდოეთის ეკონომიკის განვითარებაში და ეხმარება მას უფრო სწრაფად მოიპოვოს ეკონომიური დამოუკიდებლობა. ყურადღება ეთმობა ავრეთვე სოფლის მეურნეობას, რომლის მაგალითია სუფრატგარჩის ფერმა რაჯასტანის შტატში. 1959 წლის აპრილში ამ ფერმის დათვალიერებისას პრემიერ-მინისტრმა ნერუმ აღნიშნა, „ინდოეთს ასეთი ფერმა რომ ჰქონდეს, მისი სასურსათო პრობლემა გადაიჭრებაო“.

ინდოეთ-საბჭოთა კავშირის ეკონომიური თანამშრომლობა ხელს უწყობს ავრეთვე ინდოეთის ეროვნული ტექნიკური კადრების შექმნას, აღნიშნავს შემდეგ ჟურნალი.

საბჭოთა კავშირმა ინდოეთს მისცა გრძელვადიანი კრედიტები უაღრესად ხელსაყრელი პირობებით. უკანასკნელი 10 წლის მანძილზე ინდოეთ-საბჭოთა კავშირის ვაჭრობაში დიდი ცვლილებები მოხდა.

„დაე ისევე მტკიცე იყოს ჩვენი მეგობრობა, როგორც ბპილაის ქარხანაში გამოდნობილი ლითონი“, — წერს დასასრულ ჟურნალი და მოჰყავს საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვები, რომელიც მან ინდოეთში წარმოთქვა.

ი. ბროზ ტიტო ეწვია ი. დობისა და ი. კადარს

ბუდაპეშტი. იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის გენერალური მდივანი იოსიპ ბროზ ტიტო, რომელიც ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ჩამოვიდა უნგრეთში, ეწვია უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს იშტვან დობისა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარეს იანოშ კადარს.

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობაში დაიწყო უნგრეთისა და იუგოსლავიის სახელმწიფო და პარტიულ მოღვაწეთა მოლაპარაკება.

კოსმონავტი-3 გელგრადში

ბელგრადი, 11 სექტემბერი (საკდესი). იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო ადმასრულებელი ვეჩეს მოწვევით დღეს აქ ჩამოვიდა საბჭოთა კოსმონავტი ანდრიან ნიკოლაევი. ბელგრადის აეროდრომზე სტუმარს გულთბილად შეხვდნენ საზოგადოებრივობის წარმომადგენლები.

ეროვნული ფერადოვანი ფესტივალი — ალჟირში

ალჟირი, 11 სექტემბერი. (საკდესი). მშვიდობისა და მეგობრობისათვის ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IX მსოფლიო ფესტივალის საერთაშორისო მოსამზადებელი კომიტეტის სხდომის მონაწილეებმა სრული ერთსულოვნების ვითარებაში ფესტივალის მოწყობის ადგილად ალჟირი აირჩიეს. ბელსინკში სამ დღეს გაგრძელდა მოსამზადებელი კომიტეტის შუშაობა. მისმა მონაწილეებმა — 58 ქვეყნისა და მთელი რიგი საერთაშორისო ახალგაზრდული ორგანიზაციების 130-მდე წარმომადგენელმა განიხილეს ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მორიგი IX მსოფლიო ფესტივალის მოწყობასთან დაკავშირებული საკითხები. გადაწყვიტეს, რომ ფესტივალი გაიმართება 1965 წლის აგვისტოში ქალაქ ალჟირში.

ფინეთის ახალი მთავრობა

ჰელსინკი, 12 სექტემბერი. (საკდესი). ფინეთში შეიქმნა პარლამენტის მთავრობა.

დღეს დილით პრეზიდენტმა უ. კ. კეკონენმა მიიღო გადადგომა მოხელეთა მთავრობისა პრემიერ-მინისტრის რ. ლეჰტოს მეთაურობით და დაამტკიცა ახალი კაბინეტის შემადგენლობა, რომელსაც მეთაურობს აგრარული კავშირის თავმჯდომარე ი. ვიროლაინენი.

ეროვნული ფერადოვანი ფესტივალი — ალჟირში

ჰელსინკი, 11 სექტემბერი. (საკდესი). მშვიდობისა და მეგობრობისათვის ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IX მსოფლიო ფესტივალის საერთაშორისო მოსამზადებელი კომიტეტის სხდომის მონაწილეებმა სრული ერთსულოვნების ვითარებაში ფესტივალის მოწყობის ადგილად ალჟირი აირჩიეს. ბელსინკში სამ დღეს გაგრძელდა მოსამზადებელი კომიტეტის შუშაობა. მისმა მონაწილეებმა — 58 ქვეყნისა და მთელი რიგი საერთაშორისო ახალგაზრდული ორგანიზაციების 130-მდე წარმომადგენელმა განიხილეს ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მორიგი IX მსოფლიო ფესტივალის მოწყობასთან დაკავშირებული საკითხები. გადაწყვიტეს, რომ ფესტივალი გაიმართება 1965 წლის აგვისტოში ქალაქ ალჟირში.

რევოლუციური მთავრობის განცხადება

პარიზი, 11 სექტემბერი. (საკდესი). კონგოს სახალხო რესპუბლიკის რევოლუციურმა მთავრობამ, რომელიც ამ დღეებში კონგოელმა სტენლივილში გამოაცხადეს, გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია, რომ „იგი არ შეწყვეტს ცეცხლს, სანამ კონგოდან არ გაიყვანენ ყველა დაქირავებულს და პოლიტიკურ ასპარეზიდან არ გაქრება ჩომბე“. როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ბუჟუმბურიდან იტყობინება, ეს განცხადება გუშინ გავრცელეს ბურუნდის სამეფოს დედაქალაქში.

თურქეთის სენატში

ანკარა, 11 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ გვიან საღამოს სენატში კამათით დამთავრდა თურქეთის პარლამენტის საგანგებო სხდომა, რომელიც კვიპროსის საკითხში თურქეთის მთავრობის პოლიტიკის განსახილველად იყო მოწვეული.

ისევე როგორც მეჯლისმა (ქვედა პალატა), სენატმა მოითხოვა, თურქეთის ამქარა სამხედრო ჩარევა კვიპროსის საქმეებში. მაგრამ სენატმა ასეთი აქცია მიიჩნია უკიდურეს სამუალებად და ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა ჯერ ყველა მშვიდობიანი საშუალება გამოიყენონ.

საგარეო საქმეთა მინისტრმა ერკინმა და პრემიერ-მინისტრმა ინენიუმ, რომლებიც მთავრობის სახელით გამოვიდნენ, განაცხადეს, რომ თურქეთი, რამდენადაც შესაძლებელია, ეცდება მშვიდობიანი გზით გადაწყვიტოს პრობლემა. ერკინმა ილაპარაკა მსოფლიოს ახალხელ ვითარებაზე, კერძოდ, კვიპროსის საკითხში საბჭოთა კავშირის პოზიციის შესახებ და აღნიშნა, რომ თურქეთს მთავრობა ითვალისწინებს საერთაშორისო ვითარებას და „შეუძლებელია, რომ მან ყურადღება არ მიაქციოს ამ ვითარებას და დაიწყოს ავანტიურა, რომელსაც არავინ იცის რა მოჰყვება“.

მომავალი ფესტივალი — ალჟირში

ჰელსინკი, 11 სექტემბერი. (საკდესი). მშვიდობისა და მეგობრობისათვის ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IX მსოფლიო ფესტივალის საერთაშორისო მოსამზადებელი კომიტეტის სხდომა, რომელიც კვიპროსის საკითხში თურქეთის მთავრობის პოლიტიკის განსახილველად იყო მოწვეული.

ისევე როგორც მეჯლისმა (ქვედა პალატა), სენატმა მოითხოვა, თურქეთის ამქარა სამხედრო ჩარევა კვიპროსის საქმეებში. მაგრამ სენატმა ასეთი აქცია მიიჩნია უკიდურეს სამუალებად და ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა ჯერ ყველა მშვიდობიანი საშუალება გამოიყენონ.

საგარეო საქმეთა მინისტრმა ერკინმა და პრემიერ-მინისტრმა ინენიუმ, რომლებიც მთავრობის სახელით გამოვიდნენ, განაცხადეს, რომ თურქეთი, რამდენადაც შესაძლებელია, ეცდება მშვიდობიანი გზით გადაწყვიტოს პრობლემა. ერკინმა ილაპარაკა მსოფლიოს ახალხელ ვითარებაზე, კერძოდ, კვიპროსის საკითხში საბჭოთა კავშირის პოზიციის შესახებ და აღნიშნა, რომ თურქეთს მთავრობა ითვალისწინებს საერთაშორისო ვითარებას და „შეუძლებელია, რომ მან ყურადღება არ მიაქციოს ამ ვითარებას და დაიწყოს ავანტიურა, რომელსაც არავინ იცის რა მოჰყვება“.

უ ჭანის მოხსენება

ნიუ-იორკი, 11 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი ს. ლოსევი გვატყობინებს:

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უ ტანმა დღეს უშიშროების საბჭოს გაუგზავნა მოხსენება, რომელშიც აცხადებს, რომ თურქეთის ავიაციის თავდასხმამ კვიპროსზე აგვისტოს დამდეგს სერიოზულად გაამწვავა კვიპროსის პრობლემის გადაწყვეტა. ამ რეიდებმა უმეწო მოსახლეობის წინააღმდეგ, წერს იგი, გარდაუვალად გამოიწვიეს ის, რომ კვიპროსის მთავრობამ უფრო შეუერიგებელი პოზიცია დაიკავა. შედეგად უ ტანი ხაზს უსვამს, რომ მომავალში ასეთი რეიდები არ უნდა განმეორდეს.



ამ ისინი — ჩომბეს დაქირავებულ ავანტიურისტები. მათი დახმარებით ცდილობს იგი ძალაუფლების შენარჩუნებას. მაგრამ ამაოა სისხლიანი მარიონეტის ცდები — კონგოელი ხალხი მამაცურად იბრძვის საბოლოო გამარჯვებისათვის.

სურათი ფრანგულ გაზეთ „პარი-პრეს — ენტერანსიეა ნიდან“.

მოლაპარაკება ლონდონში

ლონდონი, 11 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს სამხრეთ როდეზიის რასისტული მთავრობის მეთაური სმიტი და ინგლისის პრემიერ-მინისტრი დუგლას-ჰიუმი, რომლებიც განიხილავენ სამხრეთ როდეზიისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების პრობლემას. მოელიან, რომ დღეს გამოქვეყნდება საბოლოო კომუნიკე.

ფოტლანდიაში

ოსლო. ნორვეგიელ ბრბილად დაჯდა ედინბურგის აეროდრომზე. ჩამოვედით შოტლანდიაში, მდიდარი ისტორიისა და ეროვნული ტრადიციების ქვეყანაში, რომელიც მსოფლიოს მისცა რობერტ ბერნსი და ვალტერ სკოტი.

ჩვენი ჯგუფი მუსიკოსების, მხატვრებისა და კინემატოგრაფიის მუშაკებისაგან შედგება. ჩვენ შორის არიან ისეთი პოპულარული მსახიობები, როგორც იორი ილინსკი და მარკ ბერნესი, კინორეჟისორები ძიგანი და მეგრი ანჯაფარიძე, მხატვრები ვ. მინაევი და თ. ყუბანეიშვილი. საქართველოდან მუსიკოსთა ჯგუფი წარმოდგენილია რესპუბლიკის სახალხო არტისტით კომპოზიტორ შ. მშველიძით, ამ სტრიქონების ავტორით და მუსიკათმცოდნე მ. ფიჩხანთ. ჩვენი დიდი ჯგუფი სტუმრად ჩამოვიდა ედინბურგის ტრადიციულ საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალზე. ჯგუფის ხელმძღვანელია საკავშირო გამომცემლობა „მუზიკის“ მთავარი რედაქტორი ი. ილინი.

ედინბურგმა თავიდანვე მოგვხიბლა თავისი სილამაზით. შოტლანდიის დედაქალაქი, რომელშიც 470.000 კაცი მოსახლეობაა, მდებარეობს თვალწარმტაც ადგილას, საქართველოს პეიზაჟებს რომ მოგვაგონებს. ქალაქის ცენტრში, მთაზე VI-VII საუკუნეებში აგებული ედინბურგის ძველი ციხე-დარბაზია — მეფეთა ყოფილი რეზიდენციაა, იგი კარგად არის დაცული. აქ არის ოთახი, სადაც ცხოვრობდა მარიამ სტიუარტი და სადაც დაიბადა მისი შვილი, ინგლისისა და შოტლანდიის გაერთიანებული სამეფოს მომავალი მეფე. დიდ ინტერესს წარმოადგენს სამხედრო-მემორიალური მუზეუმი, ოთახი, სადაც ინახება შოტლანდიის ეროვნული განძები (შოტლანდიის გვირგვინი, რომელიც 300 წლით უფროსია ლონდონის ტაუერის გვირგვინზე, ხმალი-მახვილი, სკიპტრა, ორდენები, ფარღულები). მთელი ეს ძვირფასეულობა, უზარმაზარ ყუთში მოთავსებული, 100 წელიწადზე მეტ ხანს დამალული ჰქონდათ ყრუდ ამოშენებულ ოთახში და ამგვარად გადაარჩინეს შემოსევებისა და ძმათა ომების დროს. მთელი ეს სიმდიდრე აღმოაჩინა და თავის ხალხს დაუბრუნა ვალტერ სკოტმა. ციხე-კოშკშია შესანიშნავი საბანკეტო დარბაზი, რომელშიც ხის ჭერს გადაბრუნებული ნავის ფორმა აქვს და აწყობილია ულერსნოდ. ამ დარბაზში იმართება ხოლმე მიღება.

დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მარიამ სტიუარტის სასახლე. — „პოლირუდი“. აქ ბევრი დარბაზია, სადაც შეკრებილია დიდი ფასეულობანი, რომელიც შოტლანდიის ეროვნულ სიამაყეს წარმოადგენენ, მის დიდ და ძნელ ისტორიას ასახავენ: სტიუარტების პორტრეტები, ფლამანდიური გობელენები, ხეზე კვეთილობა, ბოჰემიური შუშის ჭაღები, ნაქარგები, ძველებური ავეჯი, მარიამ სტიუარტის პირადი ნივთები, უდიდრესი სეფე-დარბაზი, სადაც დედოფალი მიღებას მართავდა.

ედინბურგი მწვანეშია ჩაფლული და გვაოცებს სისუფთავით. შოტლანდიელები ძალიან თავაზიანი ხალხია. ფესტივალის დღეებში ქალაქში დიდი გამოცოცხლებაა. ყოველ საბიჯზე გვხვდება ეროვნული კოსტიუმები, მამაკაცთა ტრადიციული ბოკლეკ კაბები. ოტელთან მუსიკით გვხვდებიან. მესტვირე მხიარული საცეკვაო მელოდიებს უკრავს. ხელში აქვს ლამაზად გაფორმებული სტვირი — ჩვენი რაჭული სტვირის სრული ასლი. მელოდიებიც, რომლებსაც იგი უკრავს, ჩვენს შმოლიურ საქართველოს გვაგონებს.

შოტლანდიელებთან მყისვე მჭიდრო კონტაქტი მყარდება. ხურთობს ვიღებთ მესტვირესთან და ისე გამვლელებთან ერთად. შოტლანდიელები კარგად იცავენ თავიანთ ეროვნულ ტრადიციებს.

მალე მოვსწვდით დაუვიწყარ სანახაობაზე — ეს არის „მილიტარი ტატუ“ — შოტლანდიელთა სამხედრო ორკესტრების საღამოს პარადი. ეს გრანდიოზული თეატრალიზებული წარმოდგენაა, იმპრეზა მოეყვანზე ედინბურგის ციხის წინ და მასში ათასამდე კაცი მონაწილეობს. 40.000 მაყურებელს, რომლებიც მოთავსებული არიან დროებით აგებულ ტრიბუნებზე, თვალწინ ეშლება სანახაობა, სადაც მუსიკას, სიმღერას, ცეკვას ცვლის შეჯიბრება სიმარჯვეესა და ვაჟკაცობაში, ჯანსაღი იუმორი და მხიარულება. ძაუურებელი მოთაწილეებთან ერთად გატაცებით ფეერიან ხალხუო და თანა

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა



სოხუმი. პალმები, სანაპიროზე.
ფოტო ა. არუთინოვისა.

ჩვენი სტუმრები

გუშინ, 11 სექტემბერს, თბილისში ჩამოვიდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საშინაო ვაჭრობის სამინისტროს დელეგაცია. დელეგაციას მეთაურობს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საშინაო ვაჭრობის მინისტრი იანოშ ტაუსი. მასთან ერთად ჩამოვიდნენ ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ლასლო ბორშოში, და სხვები.

უნგრეთის საშინაო ვაჭრობის სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკებთან ერთად ჩამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტის თავჯდომარის პირველი მოადგილე ს. ა. ტრიფონოვი.

აეროპორტში უნგრელ სტუმრებს შეხვდნენ საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი ვ. ზ. თოხაძე, ვაჭრობის მინისტრის პირველი მოადგილე რ. ს. ელიგულაშვილი, საქართველოს სსრ საგეგმო კომისიის თავჯდომარის მოადგილე ი. ს. მიქელაძე, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს უფროსის მოადგილე ნ. ბ. კიკნაძე.

ჩამოსვლის დღეს უნგრეთის საშინაო ვაჭრობის მინისტრი იანოშ ტაუსი ეწვია საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, აქ გაიმართა საუბარი რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრთან ვ. ზ. თოხაძესთან და სამინისტროს პასუხისმგებელ მუშაკებთან.

იანოშ ტაუსმა და მისმა თანმხლებმა პირებმა დაათვალიერეს № 2 უნივერმაღი, „სარეკლამო" პირველი მაღაზია, უნივერმაღი „ბავშვთა სამყაო", იყიდნენ მთელ რიგ სპეციალიზებულ მაღაზიებში. (საქდეკი)

ᲛᲔᲜᲓᲔᲒᲘ, ᲛᲔᲛᲔᲜᲓᲔᲒᲘ

☐ **დაბა ორჯონიკიძის** მუსიკალურ სკოლას არ ჰქონდა შესაფერისი ბინა. ამჟამად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ახალი სასკოლო კორპუსის მშენებლობა.

☐ **კიდევ** ერთი კარგი საჩუქარი მიიღო დაბა ორჯონიკიძის მშრომელმა მოსახლეობამ. აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა უნივერსალური მაღაზია.

ᲐᲠᲐᲒᲕᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ

მთები დასცქერენ ჭალასა
ჯან-ღონე მოუღლელები,
უკვდავნი, უბერებელნი,
დროსთან ქედმოუხრელნები.

ეპოტინება ღრუბლებსა
მათი შუბლი და ხელები,
ვით ბავშვი ძუძუმწოვარი
დედისგან მისაშველები.

ახარებს წვიმა უუქუნა
გულმკერდის დასასველები,
სიცოცხლის დამბადებელი,
ყვავილთა გასაზრდელები.

მოდის მრისხანე არაგვიც,
გადაქანცული ხველითა,
როგორც მტრის დამმარცხებელი
გზით მორბენალი გრძელითა.

მოახმიანებს მთა-ბარსა
თავის ტალღების ცელითა,
ხან მდგრიე ღრუბლივითა,
ხან კი ანკარა ფერითა.

გ. მარცვალაშვილი,
ხალხური მთქმელი,
სოფელი ჩარგალი.

ᲑᲝᲠᲑᲐᲚᲝ

რა ლამაზი ხარ, ბორბალო,
რა ლამაზი გაქვს ფერია.
ნება მომეცი გიმღერო,
გულს ველარ მოუთმენია.

ზეცაში ამაღლებულხარ,
მზე გაფრქვევს ოქროს
სხივებსა,
შეგამკობს ზღაპრის ნაირად,
ტანზე აგასხამს მძივებსა.

მშვენებით დამატკბობელნი,
სხვა მთებიც გუვანან
გვერდზედა.
ყვავილნი ყელმოღერებით
ჰყვავიან იმათ მკერდზედა.

სალხენად განწყობილებსა,
შურთხნი უმღერენ ნანასა...
ყველა შეჰხარის, შეჰნატრის
დროებას ამისთანასა.

ნ. გორელაშვილი,
ხალხური მთქმელი,
სოფ. საკობიანო.

ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲡᲐᲣᲜᲯᲘ

ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲐ ᲖᲝᲝᲞᲐᲠᲙᲨᲘ

შემოდგომის თბილი დღეებია. თბილისის ზოოპარკი კვლავ სავსეა ცნობისმოყვარეებით, დამთვალიერებლებით. განსაკუთრებით მრავალი მნახველი მოდის აქ კვირაობით. ბავშვებს აინტერესებთ საკუთარი თვალით ნახონ ცხცერი მელა და გაუმძღარი მგელი, ეშვაკი მაიმუნები და ტლანქი სპილო. მათზე ხომ ხშირად ესაუბრებიან უფროსები, უკითხავენ წიგნებს, უყვებიან ზღაპრებს.

და აი პატარებიც გაფაციცებით შესცქერიან პირდაღებულ ვეფხვსა და ლომებს, რომლებიც მოუსვენრად აწყდებიან რკინის მაგარ გალიებს. არანაკლები ინტერესით ეცნობიან ბავშვები ფარშავანგებს, ფერადფერად მოსრიალე თევზებსა და ლაღად მოსავალი ირმებს, ნუკრებს.

თუმცა ბუნების ფერისცვალებას მკვეთრად არ უწერია თავი, ჯერ ისევ მწვანე სამოსელში არიან მცენარეები და არ დასისხნებს ცივი ქარი, მაგრამ ზოოპარკის ბინადრებმა უკვე იგრძნეს შემოდგომა, ფარშავანგებმა თავიანთი ლამაზი სამოსელი გამოიცვალეს, უფრო თბილი ბუმბულით შეიმოსნენ სხვა ფრინველებიც. მგალობლები უკვე საამოდ უსტვენენ.

წეროები, გვრიტები და სხვა ფრინველები ადგილზე ვერ ისვენებენ. დიდი ხანია მათი თანამოძმენი გაუდგნენ თბილი ქვეყნების გზას. ესენი კი დაწრიალებენ გალიაში და ბედს იკეთებენ.

მართალია, დღისით საკმაოდ თბილა, მზე უხვად აფრქვევს მაცოცხლებელ სხივებს, მაგრამ ღამით სიგრილეა. ამიტომ ფერად-ფერადი პატარა თევზები თავიანთ დედებს მოვაშორეთ და ღია აუზებიდან აკვარიუმებში გადავიყვანეთ.

თეთრი დათვები საკმაოდ გამოცოცხლდნენ. ისინი წყლიდან ამობრძანდნენ და დინჯად მიმდიან თავიანთ საბრძანებელში. მაიმუნები კი არხეინად ჯრძნობენ თავს, ოღონდ საკანტუნებელი ჭრონდეთ და ბევრს არაფერს დაგიდვენენ.

წელს თბილისის ზოოპარკს ახალი ბინადრნი შეემატნენ: იაგუარები, ნილგაუები, ფარშავანგები და სხვ. უახლოეს ხანში მივიღებთ ცხოველთა ახალ პარტიას.

ცნობილია, რომ მიუხედავად კარგი კვებისა, ტემპერატურის რეჟიმის დაცვისა და მათი მოვლა-პატრონობისა, ბევრი ცხოველი მაინც ვერ ეგუება ტყვეობას და ძნელად მრავლდება. ჩვენი კოლექტივი კი განსაკუთრებით ყურადღებას აქცევს მათ გამრავლებას და მედგასაც აღწევს. ბეჭემტმა, ვაფეხვმა, ხალიანმა ირმმა, ხოხბებმა, თუთიყუშებმა კარგი ნამატი მოგვცეს.

წელს ჩვენი პარკი საკმაოდ დამშვენდა და კეთილმოწყობილი გახდა. თვალს ახარებს პარკის შესასვლელოთან ლამაზი დეკორაციული კუთხე, რომელიც ორჯონიკიძის რაიონის გაპწყანების კანტორამ მოაწყო. დაირგო ალრეთვე მრავალი ხე და ბუჩქი, მოასფალტდა გზები, მისასვლელები.

ზოოლოგიურ პარკში მოდიან არა მარტო ცხოველების სანახავად, აქ საწარმოო პრაქტიკას გადიან სამხატვრო აკადემიის, სამხატვრო სასწავლებლის, უნივერსიტეტის, საშუალო სკოლების, პიონერთა სასახლის მოსწავლეები. აქვე მუშაობს ნორჩ ნატურალისტთა წრე. 27-ე საშუალო სკოლის მერვე კლასის მოსწავლემ მიშა პეტრენკომ გაწვრთნა დათვის ბელი „ლიიმკა". ამისათვის მოსწავლეს სპეციალური ვოლიერი გამოვუყავით. იგი თავისი აღზრდილით სულ მალე, წარსდგება პიონერთა სასახლის პიონერებთან და მოსწავლეებთან, სადაც „ლიიმკა" თავის ხელოვნებას უჩვენებს.

ზოოპარკს მდიდარი მუზეუმი აქვს. იგი წელს 13.135 კაცმა დათვალიერა. მაგრამ მისი დარბაზის სივიწროვე ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, რის გამო ზოოპარკში არსებული ძვირფასი ოსტოლოგიური მასალა გამოუყენებელი აწყვია.

განზრახული გვაქვს უახლოეს ხანში მოვაწყოთ სამავშვო მოედანი. იმუშავებს ბავშვებისათვის ყველაზე საყვარელი პონის ორ ეტლი, რითაც ზოოლოგიური პარკი უფრო მიმზიდველი გახდება ჩვენი ნორჩი დამთვალიერებლებისათვის.

გ. გოგსაძე,
ზოოლოგიური პარკის დირექტორი.



სურათზე: ზევით, მარცხნივ — პარკის ძველი ბინადარნი — ირმები; ახალი ეშპონატები: ნილგაუ (ზევით, მარჯვნივ) და იაგუარები (ქვევით).
ფოტო შ. ჩხეტიანისა.

გ. ი. მაისურაძე

მოულოდნელად გარდაიცვალა გაიოზ ივანეს-ძე მაისურაძე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი 1940 წლიდან, თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის სახალხო მოსამართლე.

გ. მაისურაძე დაიბადა 1917 წელს საგარეჯოს რაიონის სოფელ ხაშმში, ღარიბ გლეხის ოჯახში. 13 წლისა შევიდა თბილისის ავტოსაქარხნო სკოლაში მუშა-მოსწავლედ. 1933-დან 1936 წლამდე ზუსტ ხელსაწყოთა ქარხანაში ხარატად მუშაობდა.

საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1940 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1944 წელს, ამხ. გ. მაისურაძეს თბილისის ოქტომბრის სახელობის რაიონის სახალხო მოსამართლედ ირჩევენ.

1951 წელს გ. მაისურაძეს აწინაურებენ თბილისის ოლქის სასამართლოს წევრად, სადაც ჩვეული გულისხმიერებით მუშაობს 1953 წლამდე. ოლქის გაუქმების შემდეგ გ. მაისურაძეს კვლავ ირჩევენ ოქტომბრის რაიონის სახალხო მოსამართლედ, ხოლო 1960 წლის დეკემბრიდან სიცოცხლის უკანასკნელ დრომდე არჩეული იყო თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის სახალხო მოსამართლედ.

გ. მაისურაძე 20 წელი მუშაობდა სახალხო მოსამართლედ და მოსახლეობაში კარგი ავტორიტეტი და სიყვარული დაიმსახურა. იგი რამდენჯერმე იყო არჩეული თბილისის მშრომელთა დეპუტატების ოქტომბრის რაისაბჭოს აღმასკომის დეპუტატად, საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის ოქტომბრის რაიონული კომიტეტის წევრად. მან მთელი თავისი მოღვაწეობა სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეს მოახმარა.

გულისხმიერი, თავმდაბალი, შრომისმოყვარე და პრინციპული მუშაკის გაიოზ მაისურაძის ნთელი სახე დიდხანს დარჩება მისი ამხანაგების ხსოვნაში.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ.

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲜᲘ

ᲣᲛᲐᲕᲗᲣᲚᲝ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ

ᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲣᲪᲓᲘᲐ საქალაქოშორისო სატელეფონო დალაპარაკების მოუთმენელი ლოდინი. „პიკის" საათებში „სასწრაფო დაკვეთასაც" კი ერთი საათის ცდა სჭირდება — რა ქნან ტელეფონისტმა ქალებმა — ხაზები გადატვირთულია.

და აი მოსკოვში ახლა მიმდინარეობს უმავთულო კომუტატორის გამოცდა. ეს სატელეფონო კავშირის ახალი სახეობაა. ამგვარ კავშირზე უკვე გადაყვანილია ხარკოვი, სვერდლოვსკი, კიევი, გორკი — საბჭოთა კავშირის ათზე მეტი ქალაქი. თვითეულ ქალაქს თავისი პირობითი გამოსაძახებელი აქვს.

რას წარმოადგენს ახალი კომუტატორი? წარმოიდგინეთ ვრცელი დარბაზი ახალი აპარატებით. სწორედ ეს არის სატელეფონო კომუტატორი, იგი ძალიან წაგავს საწერ მაგიდას. მას არა აქვს უამრავი ზონარი, რომელთა საშუალებით ტელეფონისტი აერთებს აბონენტებს, არც განუწყვეტლივ მოციმციმე ნათურები მოჩანს სადმე. ტელეფონის აპარატიც კი სულ სხვა ფუნქციებს ასრულებს, და, რაც მთავარია, დარბაზში სიჩუმეა.

აი აინთო გამოძახების თეთრი ნათურა. ტელეფონისტს ბაზი ბერკეტი გადაჰყავს „აბონენტზე" და იღებს მილს. ამ დროს სინათლის ტაბლოზე ინთება ტელეფონის ნომერი, საიდანაც მოვიდა გამოძახება. ტელეფონისტი სწრაფად ავსებს ბლანკს — ქალაქი, ტელეფონის ნომერი, აბონენტის გვარი...

— დაელოდეთ ტელეფონთან! — ეუბნება იგი დამკვეთს. შემდეგ კლავიშებზე კრეფს ხარკოვისათვის მიკუთვნებულ სამნიშნა ნომერს. მაგიდაზე მაშინვე ინთება ნათურა — კავშირი დამყარებულია! ახლა შეიძლება აბონენტის ნომრის აკრეფა. აინთო კიდევ ერთი ნათურა...

— ელაპარაკეთ! — ამბობს ტელეფონისტი და კიდევ ერთ ბერკეტს ჩართავს — ამუშავდა დროის გამომთვლელი მინიატიურული მანქანა.

გავიდა სულ ერთი წუთი, რაც მოსკოველმა აბონენტმა ლაპარაკი დაუკვეთა, და მას უკვე შეუძლია ელაპარაკოს ხარკოვს.

კარგია, არა?

ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲧᲘᲜᲣᲚᲛᲭᲠᲔᲚᲘ „ᲙᲘᲔᲕᲘ"

ᲙᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘᲗᲨᲘ ვიარტისილიას გემთსაშენში საბჭოთა კავშირისათვის მესამე ყინულმჭრელი შენდება. 15 ათასი ტონა წყალწყვის ახალი პოლარული ყინულმჭრელი „კიევი" აღჭურვილი იქნება 3 ხრახნით, 8 მთავარი დიზელ-ელექტრონული ძრავებით. გემს ექნება ერთ და ორადგილიანი კიუტები, საცხობი, სამზარეულო, სამრეცხაო, საავადმყოფო განყოფილება საოჯახიცაა დარბაზით. ყინულმჭრელზე იქნება დასაფრენი გემბანი ორი ვერტმფრენისათვის და მათი შესანახი ანგარი. ყინულმჭრელ „კიევის" სიგრძეა 122 მეტრი, სიგანე — 24,5 მეტრი.

ᲚᲐᲜᲓᲔᲑᲘᲡ ᲥᲝᲠᲬᲘᲚᲘ

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲛᲐᲮᲩᲘᲡ ბიურო სიკვდილ-სიცოცხლის აღრიცხვის კანტორა არავის ეგონოს. ამ (მეტწილად ყოვლად მოუწყობელ დაწესებულებაში) გრძნობთაგან უზნეანის — სიყვარულის რეგისტრაცია ხდება.

შეიძლება ითქვას, რომ მმაჩის ბიურო სიყვარულს „კანონის ძალას ანიჭებს" და ოჯახს საფუძველს უყრის...

და აი, წარმოიდგინეთ ასეთი სურათი: მაყრიონი მიადგა მმაჩის ბიუროს. ისმის მხიარული სიცილი და ხმამაღლა ლაპარაკი.

ქალი მოგვყავს ნათელია,
მოგვინათე სანთელია...

დაიწყო სიმღერა ერთმა.

თუ ქალია ნათელია,
რაღად გვინდა სანთელია...

განაგრძო მაყარმა.

... მოკლედ, მექორწინენი „ტონუსს" არ კარგავენ.

დედოფალი მორცხვობს, სასიძოს უფრო თამამად უჭირავს თავი.

და აი სიძე-დედოფალი დასვეს იმ „სიბედისწერო მაგიდის" მოპირდაპირე მხარეს, რომელთანაც უცოლო ჯდები და ცოლიანი დგები.

ხელისმომკიდე ქალები უჩურჩულებენ პატარძალს, მაგიდის ქვეშ საქმროს ფეხი დაუჭირეო (ქმარი მორჩილი იქნებაო, ამბობენ)...

— გვარი?. — თქვა ბოლოს რეგისტრატორმა ქალმა.

— საქმრო პავლე დიმიტრის-ძე ნათელაძე, საცოლე — ივლიტა თეიმურაზის ასული თოფურია. — უპასუხა ევგენია ჯიოევამ, რომელიც ქალის მეჯვარე იყო.

— რამდენი წლისა ბრძანდებით?.. — რატომღაც პირველად საპატარძლოს შეეკითხა რეგისტრატორი.

ივლიტამ თავი დახარა (მოგეხსენებათ საერთოდ ქალები მალავენ ასაკს) და ბოლოს მორცხვად თქვა:

— ოთხმოცის.

ოთხმოცის?! გაუკვირდება ალბათ მკითხველს.

ევგენია ჯიოევა ამ ორ თაღლით მოხუცს საცოლედ და საქმროდ ახალგზდა, დაეძებდა გულუბრყვილო, დოყლაპია ადამიანებს და ფულს ართმევდა იმ პირობით, რომ როცა ივლიტა თოფურია გათხოვდებოდა (!), ოთახს მათ დაუტოვებდა...

ასეთი ქორწინება სინამდვილეში არ მომხდარა, ეს მხოლოდ თაღლითების ფანტაზიის ნაყოფია. ასე უხატავდა ქორწილის სურათს ჯიოევა თავის კლიენტებს. გიორგი პარასტაევმა კი დაიჯერა, რომ პავლე ნათელაძე (ისიც 80 წლის კაცი) ცოლად შეირთავდა ივლიტა თოფურიას!

ეს ამბავი ასე მოხდა.

ერთ მშვენიერ დღეს (ასე ითქმის, თორემ მშვენიერი სულაც არ იყო ის დღე) გიორგი პარასტაევს შეხვდა ევგენია ჯიოევა და ათასი მოკითხვის მერეროცა შეიტყო, რომ გიორგი უბინაობას უჩიოდა, თავში ხელი შემოიკრა და ღიმილით მიმართა:

— ჩემო გიორგი, დღეს კარგ ფეხზე ამდგარხარ... ბედი გქონია, რომ შემხვდი. მომეცი 500 მანეთი (რა თქმა უნდა, ფულის ახალი კურსით). ერთ ჩემ ახლობელ ქალთან მიგიყვან, ის გიშვილებს, გააფორმებს შენს შვილად აყვანას, მერე კი, ქალი... ხომ იცი... ქალია და... გათხოვდება, იმას ბინიანი საქმრო ჰყავს, ცოლს მაშინვე წაიყვანს, შენ კი... ღერთმა გაგახაროს შენს ახალ ბინაში..

იტაცა გიორგი პარასტაევმა ჯიბეს ხელი და ლამის ჩაიხია. ამოაფრიალა ათმანეთიანები და ფული ხელში ჩაუთვალა ჯიოევას.

გიორგი პარასტაევი ევგენია ჯიოევამ თავის „დედობილთან" მიიყვანა. მგრძნობიარე იყო „დედობილისა" და „შვილობილის" შეხვედრა.

აქვე იყო „საქმროც", რომელიც მათ თავს დასტრიალებდა და დროდადრო საბუღალტერიოს ჩაურთავდა მათს საუბარში.

„საქმრომ" გაუცინა ივლიტას „შვილობილს" და ღიმილით უთხრა:

— მალე... მალე მორჩით საქმეს... ქალი დროზე მინდა წავიყვანო...

პარასტაევის თვალის ასახვევად ჯიოევამ „მზითევის" გადაზიდვაც კი დაიწყო... ამიტომ ამტკიცებს გიორგი პარასტაევი, რომ აზრადაც არ მოსვლია ეჭვის თვალით შეეხედა ამ ყოვლად წარმოუდგენელი ქორწინებისათვის!

თაღლითების სამეულს პარასტაევის „ოპერაცია" დამთავრებული არ ჰქონდა, ჰორიზონტზე ნიკოლოზ დეისაძე რომ გამოჩნდა.

ნიკოლოზს შვილისათვის უნდოდა ოთახი.

ივლიტა ჯიოევას რეჟისორობით „დაღგმულმა" სპექტაკლმა საშინლად იმოქმედა ნიკო დეისაძეზე.

ერთი კიდეც დალოცა საქმრო და საცოლე ღმერთმა შეაბეროთ ერთმანეთსო" და 2500 მანეთი ჩაუთვალა თაღლითებს.

...მალე გაიარკვა ყველაფერი, უფრო სწორად, მალე დამთავრდა კომედია...

ფარდა აეხადა თაღლითებს. გამოაშკარავდა, გამომზეურდა მათი საქმიანობა. ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს წინაშე წარსდგნენ თაღლითი საცოლე და საქმრო და მათი ხელისმომკიდე...

ახლა ახლებურად (და სრულიად სამართლიანად) განაწილდა როლები:

— ჯიოევა — ციხეში, მოხუცებს — პირობითი სასჯელი!...

პარასტაევი და დეისაძე კი... უდანაშაულო დამნაშავეებად იქნენ ცნობილი...

...ასე დამთავრდა ამბავი „ლანდების ქორწილისა"...

რ. დვალიშვილი.

ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲐ ᲖᲝᲝᲞᲐᲠᲙᲨᲘ

ᲐᲛ ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ თქვენ ხედავთ გუშინდელი მატჩის მომენტებს. პირველზე ასახულია ქეორე გოლზე რეაგირება — განაწყენებული იაშინი კარს უბრუნდება, დათუნაშვილს ხელები აუწევია და ზეციმობს, მცველს კი უსიამოვნო გრძნობა თავში ხელების შემორტყმით გამოუხატავს; მეორე სურათზე — წამი და მესხი გაუსვლია მეტოქეს, კარის წინ კრიტიკული მომენტია.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲔᲑᲘ • ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲔᲑᲘ • ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ

ᲠᲔᲕᲐᲜᲨᲘ!

ᲬᲔᲚᲡ პირველობას თბილისელები საკმაოდ თანამრად ატარებენ. ხეზონის მანძილზე ლიდერთა შორის უჭირავთ ადგილი. მოსკოველებმა კი ჩემპიონატი წარუმატებლად დაიწყეს, პირველ წრეში მხოლოდ 15 ქულა დააგროვეს.

დღევანდელი მატჩისათვის მათ შორის ქულათა სხვაობა ექვსს შეადგენდა. (დაკარგული ქულები თბილისელებს ჰქონდათ 16, მოსკოველებს — 18).

ამიტომ შეხვედრას პრინციპული ხასიათი ჰქონდა. გამარჯვება ერთი გუნდისათვის უზრუნველყოფდა ლიდერთა ჯგუფში პოზიციის განმტკიცებას, მეორეს კი გზას უხსნიდა იმისათვის, რომ იბრძოლოს ამ მდგომარეობის მოხსპოვებლად და ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის წოდების შესანარჩუნებლად. ყოველივე ეს წინასწარ განსაზღვრავდა მეტოქეთა სერიოზულ ბრძოლას, და ჩვენი მოლოდინი კიდევაც გამართლდა.

თამაში უდაზვერვოდ დაიწყო. ორივე გუნდი გამსჭვალული იყო გამარჯვებისათვის ბრძოლის სურვილით. მაგრამ მოსკოველებმა თამაშის დასაწყისში დაკვეთ ვარიანტი აირჩიეს. მწმენდავის როლში გამოდის მუდრიკი (№ 3). ამის შედეგად იერიშში აღმოჩნდებოდა ხოლმე მხოლოდ სამი თავდამსხმელი (ჩისლენკო, ვშივცევი, ფადეევი). ამან წინასწარ განსაზღვრა მასპინძელთა აქტიური თამაში მოქმედების ფართო რადიუსით. თბილისელები იყენებენ მანევრს ფლანგებზე, თამაშობენ დიდი სისწრაფით, მათ თანდათანობით ხელით იგდებს ინიციატივა და გვიჩვენებს მაღალი კლასის ფეხბურთი, ხაზებისა და ცალკეული მოთამაშეების კარგი ურთიერთგაგება და თანამოქმედება. სტუმრებს უჭირთ შეაკავონ თბილისელები. კარი მთელ რიგ ძლიერ დარტყმებს განიცდის, მაგრამ იაშინი ადგილზეა. მოსკოველები კონტრიერიშზე ჯადადიან. აქტიურად მოქმედებს ჩისლენკო, რომელიც პირველი შესაძლებლობისთანავე ეკიდ ინიციატივა. ბეჭემტმა, ვაფეხვმა, ხალიანმა ირმმა, ხოხბებმა, თუთიყუშებმა კარგი ნამატი მოგვცეს.

წელს ჩვენი პარკი საკმაოდ დამშვენდა და კეთილმოწყობილი გახდა. თვალს ახარებს პარკის შესასვლელოთან ლამაზი დეკორაციული კუთხე, რომელიც ორჯონიკიძის რაიონის გაპწყანების კანტორამ მოაწყო. დაირგო ალრეთვე მრავალი ხე და ბუჩქი, მოასფალტდა გზები, მისასვლელები.

ზოოლოგიურ პარკში მოდიან არა მარტო ცხოველების სანახავად, აქ საწარმოო პრაქტიკას გადიან სამხატვრო აკადემიის, სამხატვრო სასწავლებლის, უნივერსიტეტის, საშუალო სკოლების, პიონერთა სასახლის მოსწავლეები. აქვე მუშაობს ნორჩ ნატურალისტთა წრე. 27-ე საშუალო სკოლის მერვე კლასის მოსწავლემ მიშა პეტრენკომ გაწვრთნა დათვის ბელი „ლიიმკა". ამისათვის მოსწავლეს სპეციალური ვოლიერი გამოვუყავით. იგი თავისი აღზრდილით სულ მალე, წარსდგება პიონერთა სასახლის პიონერებთან და მოსწავლეებთან, სადაც „ლიიმკა" თავის ხელოვნებას უჩვენებს.

ზოოპარკს მდიდარი მუზეუმი აქვს. იგი წელს 13.135 კაცმა დათვალიერა. მაგრამ მისი დარბაზის სივიწროვე ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, რის გამო ზოოპარკში არსებული ძვირფასი ოსტოლოგიური მასალა გამოუყენებელი აწყვია.

განზრახული გვაქვს უახლოეს ხანში მოვაწყოთ სამავშვო მოედანი. იმუშავებს ბავშვებისათვის ყველაზე საყვარელი პონის ორ ეტლი, რითაც ზოოლოგიური პარკი უფრო მიმზიდველი გახდება ჩვენი ნორჩი დამთვალიერებლებისათვის.

გ. გოგსაძე,
ზოოლოგიური პარკის დირექტორი.

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

„Ა" ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ

მდგომარეობა 13 სექტემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	გ.	ქ.
„ტორპედო" (მ.)	28	12	7	4	39—14	31
სკა (როსტ.)	24	13	5	6	34—19	31
„დინამო" (თბ.)	23	11	8	4	29—21	30
ცსკა	23	11	7	5	36—18	29
„დინამო" (კ.)	22	8	10	4	32—21	26
„შახტიორი" (დ.)	23	9	8	6	25—21	26
„დინამო" (მნ.)	23	6	13	4	18—10	25
„სპარტაკი" (მ.)	23	9	7	7	27—20	25
„დინამო" (მ.)	21	7	8	6	22—17	22
„ზენიტი" (ლ.)	24	7	6	11	22—28	20
„ვოლგა" (გ.)	23	6	8	9	12—27	20
„კრ. სოვ." (ყუიბ.)	23	5	9	9	16—29	19
„ტორპედო" (ქ.)	25	7	5	13	11—31	19
„ნეფტიანიკი" (ბ.)	23	5	8	10	15—22	18
„შინიკი" (იარ.)	22	5	8	9	16—30	18
„კირატი" (ალმ.)	22	5	7	10	17—22	17
„მოლდოვა" (�უ.)	23	5	4	14	11—32	14

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ" (თბილისი) — „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ" (მოსკოვი) 2:1 (2:0). თბილისი. 12 სექტემბერი. „დინამოს" სტადიონი. მსაჯი — Ო. ᲚᲘᲢᲕᲘᲜᲐᲡᲘ (ვილნიუსი).

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ" (მოსკოვი) — იაშინი, კესარევი, მუდრიკი, გლოტოვი (დანილოვი), ანიჩკინი, ცარიოვი, ჩისლენკო, მასლოვი, ვშივცევი, ბობკოვი, ფადეევი; „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ" (თბილისი) — კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, რუხვიაშვილი, ზვინკლიშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, იამანიძე, დათუნაშვილი, ბარქაია, მეტრეველი, მესხი.

ᲗᲐᲛᲐᲨᲘ იმავე ტემპით, როგორც პირველ ნახევარში. ცალკეული კომბინაციები მაინც მწვავე იყო. მესხისა და მეტრეველის უძლიერესი დარტყმები იაშინმა კუთხურზე მოიგერია.

28-ე წუთი. მეტრეველი კარგად ატყუებს მცველებს, მაგრამ... იქვე ჩისლენკო იჭრება თბილისელთა საჯარიმო მოედანზე, დარტყმა არაზუსტია. უკანასკნელ წუთებში ერთმანეთს ცვლის ორივე გუნდის იერიშები.

39-ე წუთზე მოსკოველებს საჯარიმო მოედანზე გარლვევაზე გაჰყავთ ვშივცევი. კოტრიკაძე ცდილობს აიღოს ბურთი, მაგრამ დარტყმა ზუსტია — 1:2.

ეს ანგარიში შეუცვლელი დარჩა. მასპინძლებმა რევანში აიღეს სსრ კავშირის პირველობაზე მოსკოვში დამარცხებისათვის (1 : 3).

თბილისელები ახლა აღმავლობას განიცდიან. დაგვრჩენია ვუსურვოთ მათ შემდგომი წარმატება.

ნ. გულიაევი,
სსრკ დამსახურებული მწვრთნელი.

ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚᲘ მატჩებიდან ერთ-ერთ ცენტრალურ ასპარეზობას წარმოადგენდა შეხვედრა კიევში ადგილობრივი „დინამოსა" და მოსკოვის „სპარტაკის" გუნდებს შორის. მეტოქეებმა ორ-ორი ბურთი გაიტანეს და შეხვედრა ფრედ დამთავრეს.

ᲐᲠᲛᲘᲜᲘᲡ ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი საკუთარ მოედანზე თამაშობდა კუიბიშევის „კოლია სოვეტოვის" წინააღმდეგ და გამარჯვა ანგარიშით 4 : 2.

ᲚᲘᲓᲔᲠᲗᲐ ჯგუფის წარმომადგენელს დონის როსტოვის სკა-ს პაექრობა ჰქონდა ლენინგრადის „ზენიტთან". შეხვედრის შედეგია 2 : 1 როსტოველთა სასარგებლოდ.

ᲛᲐᲢᲩᲘ დონეცკში „შახტიორისა" და მინსკის „დინამოს" ფეხბურთელთა კოლექტივებს შორის დამთავრდა მინსკელთა გამარჯვებით 5 : 0.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ აუტსაიდერს კიშინიოვის „მოლდოვას" ალმა-ატის „აირატი" ეწვია. გაიმარჯვა „მოლდოვამ" 1:0.

ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚᲘ მატჩებიდან ერთ-ერთ ცენტრალურ ასპარეზობას წარმოადგენდა შეხვედრა კიევში ადგილობრივი „დინამოსა" და მოსკოვის „სპარტაკის" გუნდებს შორის. მეტოქეებმა ორ-ორი ბურთი გაიტანეს და შეხვედრა ფრედ დამთავრეს.

ᲐᲠᲛᲘᲜᲘᲡ ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი საკუთარ მოედანზე თამაშობდა კუიბიშევის „კოლია სოვეტოვის" წინააღმდეგ და გამარჯვა ანგარიშით 4 : 2.

ᲚᲘᲓᲔᲠᲗᲐ ჯგუფის წარმომადგენელს დონის როსტოვის სკა-ს პაექრობა ჰქონდა ლენინგრადის „ზენიტთან". შეხვედრის შედეგია 2 : 1 როსტოველთა სასარგებლოდ.

ᲛᲐᲢᲩᲘ დონეცკში „შახტიორისა" და მინსკის „დინამოს" ფეხბურთელთა კოლექტივებს შორის დამთავრდა მინსკელთა გამარჯვებით 5 : 0.

**ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐ